

1913

12

საქართველოს
საბავშვო

საბავშვო



1913

მ ა ი ს ი, № 5. მოსრდილთათვის.



1943

ილია ჭავჭავაძის ძეგლი მთაწმინდაზე (აქუროთბეს 5 მაისს).


ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე კ ი .



I—ილია ქაჯკიავაძის ძეგლი, — სუ ათაი	1
II— გამოზახებულდა, — ლექსა ს. ფაშალიშვილისა	3
III— მოვიტანე, — მოთხრობა ი. კეცოშვილისა	5
IV— ფარნაოზ შეფე, — ისტორიული მოთხრობა ივ. როსტომაშვილისა.	16
V— უძველეს დროის ბავშვის თავგადასხვალი, — მოთხრობა ე. დ'კრევილისა, (გაგრძელება) თარგ. შარამი აიშვილისა	27
VI— გულუბრყვილო ბუზი, — (იგავ-არაკი) დაგ. კილიანისა	35
VII— ილია ქაჯკიავაძის სურათი	38
VIII— სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვა, — (ილია ქაჯკიავაძის ხსოვნას), ილია ჩუკაშვილისა	39
XIX— ტერმიტები, — (თარგმ.) მინადორა ტორაშვილისა	—
X — საქართველო, — რწმუნანი და ჩუქულებანი, (დასასრული) შ. ჭანაშვილისა	—
XI— ტროადის ომი, — (გაგრძელება) ალ. შიქაბერაძისა	—
XII— გასართობი: შარადები, რებუსი და აღსნა	63

X



თბილისი, კლექ.-შეგდ. ა. კერესელიძის, გაბაევის შესახვევი, № 1.

განმომკობი იუფე მახინჯან თუთი



გამოზაფხულდა.

გამოზაფხულდა... მთა ბარი,
კირთვება მწვანე კაბითა;
ბუნებას გამოელევიდა
პირს იბანს დილის ნამითა...

წინა-მასწარა ენძელაც,
ამოკოწრილა ველზედა;
ერთი-მეორეს საამოდ
გადაჰხვევია ყელზედა...

გრილი ნიავი ატოკებს,
წელში ჰხრის ნაზ სიფრთხილითა,
მზეც ოქროს ფერის ღიმილით
სალამს უგზავნის დილითა,
თანაც ცხოველის სხივებით
გულს უთბობს მიწის წიაღსა,
გამოსაშლელად იტყუებს
ღერო გადამხმარ იასა.

მთის წყარო ნაზის ჩუბჩუხით
ლიღინებს, — გაზაფხულდაო;

დილას მერცხალმაც კიკუჩით
 სთქვა, — ნატვრა აგვისრულდაო,
 მოვფრინდით, კვალად ვიხილეთ
 სამშობლო საქართველოო,
 თვალის წარმტაცად შორთული
 ხავერდოვანი მდელოო.
 სუსხისგან მიძინებულმა,
 კვლავ გაიღვიძა გულმაო,
 და შიგ შშობელის მხარისამ
 იფეთქა სიყვარულმაო..
 ვხარობთ, ვკიკუჩობთ ყველანი,
 ვაღვიძებთ ქვეყანასაო,
 რომ მათაც ქება, დიდება
 უმღერონ ბუნებასაო!..

ს. ფაშალიშვილი





მ ო ვ ი ტ ა ნ ე .



აშ რას ვიზამთ; შეილო, აბა რას ვიზამთ, თუ როგორმე ხელი არ მოვიწაცვლეთ! ეს მღვდელიო, ეს ერიო, ეს ისაო, ეს ესაო, და ჩვენ-კი აღარა გვრჩება-რა; ტიტლიკანე-

ბი ვართ. ემანდ—ე ნიკოი პერანგის ამარა დაიარება; ჩვენმა მარიკელამ ხომ გააჭირა საქმე.

—მერე შე ხომ უარს არ ვამბობ და! წავიღებ, მაშ რას ვიზამ?

—ჰო, გენაცვალოს, შეილო, დედა, ჰო! აი ბიძა-შენს გაჰყვები, მეზობლებიც მოდიან...

აღარ დაათავა სიტყვა შიოს დედამ მიაძმ და თითქოს რაღაც მოაგონდაო, გარედ გაეშურა.

შიო-კი სახლის ფანჯარასთან მიმჯდარი მარდად უყრიდა კოპს^{*)} საქალმეთ გამოკრილ ძროხის ტყავს. და თან რაღაც თათბირში იყო ფიქრებით; მისი თვალები ხან კითხვას გამოსთქვამდნენ, ხან პასუხს.

^{*)} კოპი—წერილად და გძლად დაკრილი ტყავია ქალაქის ამოსასხამად.



— ჩემო მახლოოო, ჩემო მახლოოო! ერთი გარედ გამოი-
ხედეეე!

მოისმა პატარა ხნის შემდეგ გარედან მიას რიხიანი ხმა.

— რა იყო, ადამიანო, რა ამბავია? ისე ჰკივი, თითქოს
ას ვერსზე მეძახოდე. — გამოეხმაურა სახლიდან მიას მისი მა-
ზლი ივანე და ახალუხის სწორებით გარედ გამოვიდა. პატარა
სახე და ტან-დაღეული, შუა-ხნის კაცი, რომელსაც მეტ
სახელად „ნალევას“ ეძახოდნენ.

— იი, შენ-კი გენაცვალე, ჩემო მახლოო; რა საწყენია,
რომ ადამიანმა ადამიანს დაუძახოს!

— მე მაგას-კი არ ვამბობ, ადამიანო, მე იმას ვამბობ,
ტყვილ-უბრალოდ ყვირილი ნუ იცი მეთქი. შენ ხმას რომ
გავიგონებ, ასე მგონია—ერთი რამ უბედურება მოხდა მეთ-
ქი... გულ-გახეთქილი გამოვეშვები ხოლმე ისარივით!

— ღმერთმა გვაშოროს უბედურება; ქა, რა დროს უბე-
დურებაა, აღდგომა კარზეა მომდგარი!

— მე ხომ მაგას არ ვამბობ, მე გვეუნები; მაგეთი ხასია-
თი ნუ ვაქვს მეთქი!

მართლაც და არა სტყუოდა ივანე: მიას, არამც თუ
ჯავრობა, უბრალოდ ლაპარაკი-კი სოფლის ერთი კუ-
თხიდან მეორეში ისმოდა ხოლმე, მაგრამ, რაც შეეხება ივა-
ნეს „ისარივით გამოშვებას“, ეს-კი იმდენად მართალი იყო,
რამდენადაც კამეჩის მერცხალივით ფრენა!

— ჰო, და, აბა ერთი მითხარი—რა გინდა?—შეეკითხა
კოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ივანე და იქავე ეზოში ისე მო-
იკეცა, თითქოს სამუდამოდ აქ აპირებს დაბინავებასო.

— იი, ჩემო მახლოო, რა სათხოვარი მაქვს,—ჩაიკეცა მა-
იამაც ივანეს წინ მუხლებზე,—შენ ხომ ამიღამ შემა უნდა
წაიღო ქალაქში გასასყიდად და ე ჩემ შიოლასაც გამოგაყო-
ლებ; გენაცვალე. გზა არ იცის და კვალი, არც გაყიდვა და
სყიდვა; აბა რა შეუძლიან თხუთმეტი წლის ბიჭს... რა უნა-



ხავს... სხვა არა იყოს რა, ქალაქის ქუჩებზე დაიკარგება. ჰო და, იმ გენაცვალე, ჩემო მაზლო, ისე უპატრონე შიოლას, როგორც შენ შეიღს; შენი იმედი მექნება!..

— რატომაც არ უნდა გქონდეს. ქალაქი ისე ვიცი, როგორც ჩემი ხუთი თითი; იმის გზაზე დავებრდი კაცი.

— აიქ, გენაცვალე, ხათაბალაში არაში გაეხას!— შეეხვეწა კიდეც მაია.

— ჰაი, დასწყველოს ღმერთმა!— დაჰკრა პასუხის მაგიერ ივანემ ტაში, — მე, რომ იქ ერთხელ საქმე დამემართა, ჩემს დღეში არ დამავიწყდება!

— ჰო და, მეც მაგისი მეფიქრება!— მოიჩივლა კიდეც მაიამ.

— ერთხელა, ადამიანო, ი ჩემი ცხონებული ძმა ცოცხალი იყო, აი, მამულების დავა რომ გვექონდა...

მაიამ თვისი გარდაცვალებული ქმრის მოგონებაზე მწუხარებით ჩაიქნია რამდენჯერმე თავი და ამოიოხრა.

— ჰო, და ერთხელა, — განაგრძო ივანემ, — ჩემი ცხონებული ძმა შემომიჩნდა: „ბიკო, „ნალევა,“ შენ უფრო გამოცდილი კაცი ხარ, ერთი „სუღში“ წადი და „პროკლოვი“*) ნახეო; აბა მე რაღა უარს ვეტყვოდი და ჩაველი ქალაქში. ჩაველ თუ არა და, გავეშურე „სუღისაკენ.“ მიუხეივ თუ არა ქუჩის კუთხეს, და უცებ სამმა-ოთხმა სალდათმა ზედი-ზედ მომაძახეს: „ნალევა, ნალევაო!“ ტუსაღები მოჰყვანდათ. მეც პირდაპირ იმათკენ გავექანდი — ალბად ნაცნობები არიან მეთქი. გამარჯობის თქმა ვერც-კი მოვასწარ, რომ კინალამ ოთხი თოფრს შუბი გულში ჩამერქო. გაჭერდი... ვიფიქრე: „თუ მიცნობენ, რა დაუშავე, რისთვის მცემენ მეთქი; თუ არ მიცნობენ, და რა იციან; რომ „ნალევა“ მქვიან მეთქი.“ თურმე, ადამიანო, „ნალევა“ რუსულად მარცხენა მხარესა ჰქვიან,

*) „პროკლოვი“ — „პროკურორი.“



და „ნაპრავე“ კი მარჯვეწას. აბა ეს მე მაშინ რა ვიცოდი! როგორც იყო — გადავრჩი საფრთხეს... ერთი-ორი დუგლუგი მითავაზეს და ქუჩის ნაპირისაკენ მიმაგდეს. ახლა-კი ღვთის წყალობა გაქვს, რომ დავინახავ თუ არა რუსს, მაშინვე მარცხნივ გავბრვივარ! — დაათავა ივანემ და ჩაიცივნა თვის პატარა აბურძგნულ უღვავებში.

— ჰო და, გენაცვალე, მეც იმიტომ გეხვეწები, რომ გამოცდილი კაცი ხარ, თან აიყოლიებ, გვერდზე გეყოლება...

— სოცა გაიჭერა ბიჭი-კი არი: არ იცის უფროსის გაგონება.

— პატარაა, გენაცვალე, პატარაობით მოსდის! — მოჰხადა ბოდში შიოს მიაიმ და დაარხინებული, რომ ივანეს გაყოლებდა ხელო ქალაქში, გასწია შინისკენ.

— პაპ, პაპ, პაპა! რა ამბავი იქნება ახლა ქალაქში! რა ორონტრიალი! — ჩაილაპარაკა თავისთვის ივანემაც და თითქოს ბერკეტით აყენებს თავის თავსო, მარჯვენა ხელი მიწას დააბჯინა, მძივე-მძივედ წამოდგა ზეზე და ზღაზენით გასწია იმანაც სახლისკენ.

— დედიჯან! რა კარგი იქნება შაქრის ბატყანი! — შესძახა სახლში შემოსულ მიაის ხუთი წლის ნიკომ და კალთებზე მოეხვია: — მგონი სულ ქალაქურადა ბლავის! შიო დამპირდა გიყიდიო! — ტიტინებდა პატარა ნიკო.

ბიჭო, შე გასაგლეჯო; მე რაღა დავიშავე, პა? მე რაღა დაეშავე! — დასძახოდა შიოს თავზე მისი გაჯავრებული და მარიკელა.

— რა იყო, გოგო, რა ამბავია? გასაგლეჯიც იყავ და დასამიწებელიც! რად მიწყველი ბიჭს! — შეტუქსა მიაიმ გაკაპასებული მარიკელა.

— როგორ არ დავწყველო, ქა, რომ დილას აქეთია

ვეხვეწები—ერთი „ბუზიკა“ მიყიდე მეთქი და მაგას „პო“ ვერ ვათქმევინე!—მოიჩივლა ახლა-კი თვალზე ცრემლებ-მომდგარ-მა მარიკელამ.

— უყიდე. გენაცვალოს დედა, შეილო, უყიდე! დანი-შნული ქალი მყავს; ქორწილში მაინც დაუკრავენ!..

— ემანდ—ე, ჰი, ახლაც უარს იტყვი!—მოუგო ნიშნი შიოს დედის სიტყვებით გახარებულმა მარიკელამ და გაბრ-წყინებულ თვალებზე ცრემლი დილის ნამებად აუთამაშდა.

— მაგ საქვეს რაღა „ბუზიკა“ უნდა, ისე-კი ცოტასა ტლინკავს? სოფლის ბოლოში რო დაირას უკრავდენ, ეგ აქა პროწიალებს!

— რა ქნას, შეილო, ჯეილია, გული ეხალისება!—გა-ამართლა მაიამ მარიკელა.

— ჯეილია!—ჩაიდუდუნა ბერიკაცივით შიომ და სახე-ნაღვლიანმა კვლავ ქალამნებს დაუწყო ამოქნა.

მართლაც და ოჯახის უდროოდ, პატარაობიდანვე, თავზე მოხვევამ თითქოს დააბერა თხუთმეტის წლის შიო. ის მარად სახე-დაღვრემილი, გულ-ჩათბრობილი იყო. მისი ფიქრი ოჯახის ათას-გვარ გაქირვებას დასტრიალებდა.

— არა უშავს რა, შეილო: ღმერთი მოწყალეა! მალე ნიკოც მხარში ამოვიდგება და ჩვენც წინ წამოვიწვეთ!

— ბევე; ბევე!... დაიბღავლა თავის სახელის გაგონებაზე ნიკომ, დარწმუნებულმა, რომ სწორედ იმ ქალაქურ შაქრის ბატკანივით ზღავის, რომელსაც შიო დაჰპირდა.

— გაზაფხულსაც კი პირი უჩანს... ლაპარაკობდა თავისთვის მაია და თან თაროდან ძირს ალაგებდა პურს, მწეა-ნილს, და ზამთრის ბოლოკს.

— ცოტა წავეიხებშმოთ, შეილო; ამაღამ აღრიანად მო-გინდება ადგომა!—მიიწვია მაიამ შიო და თვითონ მარიკე-ლასთან ერთად მოუჯდა ხონჩას. შიომაც უკანასკნელად



ამოუბნია ქალიმანს კობი და ისა და ნიკაც შეუდგნენ ვაბ-
შაშს.

ჯერ შუალამე არც-კი იყო გადასული, როდესაც გარე-
დან ივანეს ძახილი მოისმა.

— აიწიე, აიწიე, შევებათ ჩქარა!—აჩქარებდა ივანე ში-
ოს და თვითონაც წინა დლით გამზადებულ შეშის ურემს
გარს უფლიდა: უშინჯაედა დაქიმულ წნელებს, ასწორებდა
ულელს, ტაბიკებს...

— ახლავ, გენაცვალე, ჩემო მაზლო, ახლავ!—გამოეხმა-
ურა შიოს მიგვიერ ივანეს მიაი ნამძინარევი ხმით, და მართ-
ლაც არ გასულა სულ ათიოდ წუთი, რომ შიო უკვე მეორე
ხარს აბამდა ურემში.

— რა უყო ყურები ამ სავერანემ, ამან!—ბუტბუტებდა
ივანე და თან ნიკორა ხარს ხელს უფაცურებდა კისერზე.

— რას უზადა, ჩემო მაზლო, თავზევე ექნება!—უპასუ-
ხა თვისი ეზოდან მიაიმ გაჯავრებულ ივანეს.—საცოდავი,
კარგად ველარას ჰხედავს და ხარს უჩივის: ყურები რა უყო-
ვო!—ჩაილაპარაკა პასუხის შემდეგ თავისთვის მიაიმ.

როგორც იყო, ივანემაც ამოაყოფინა ნიკორას თავი
ულელში, შეკოცდა კოფაზე და გამარჯვებულ გამირივით გა-
დასძახა შიოს:

— აბა, მზადა ვარ, მომაცოლე!

— გაუჯავრდი!—უპასუხა შიომაც და შეშით დატვირ-
თული ორი ურემი გაემართა ქალაქისკენ.

მთვარიანი ღამე იყო, ჩუმი და წყნარი. მაგრამ ამ სიჩუ-
მეში ხან-და-ხან მოისმოდა ხოლმე ტყიდან რაღაც საიდუმლო
ჩურჩული, ტბილი და საამო ბაასი. კოკორაშლილი ხეები,



ამწვანებული შინდი და თეთრ-კაბა ტყემალი ერთმანეთს ემუსაიფებოდნენ. აქ, ტყის წიაღში, ხეების ტოტებში ემზადებოდა გაზაფხული, ფრთებს ჰშლიდა, ფერადდებოდა, ირთვებოდა მთეარის სხივებზე, რომ დილის შზეს კობტად და კობწიად დახვედროდა.

— შრრრ... გაუფლიდა სიჩუმეში ტყეს ნიავი, გაიჭრებოდა ნაპირს და წყნარადვე მიარხვევ-მოარხვევდა მწვანე ჯეჯილს, თითქოს აღვიძებდა განთიადის დასახვედრად.

არაგვი-კი, ცელქი არაგვი, არც ამ მყუდრო ღამეში ისვენებდა. ის ხან ჩხრიალით გადადიოდა ქვიდან ქვაზე, ხან ლიკლიკებდა, ხან-კი აწკრიალდებოდა ნაზად, თითქოს ნიავემ შეარხია ჩანგის სიმებიო, და უგალობდა ტკბილ საგალობელს დილის ცისკარს.

„აფრინდა, ქორი აფრინდა,
 არაგვი ჩაინადირა,
 მტხეთას დაეცა დედალსა,
 ავქალას მტვერი აღინააა დააა.
 ჰალი—ჰალაღევე... დააა...“

გაისმა ამ ჯადოსნურ ღამეში ივანეს ნადვლოანი ხმა და ნელ-ნელა, ზარმაკად, მაგრამ ტკბილად მისწყდა კოდორის მთის ნაკეთებში.

„შრრრ“... გააცილა უკანსკნელი ჰანგი ნიავეს და კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

„ალალო, დილის ნიაო,
 მე შენთვის მიტირნიაო.
 — შენ ჩემთვის რა გატირებდა:
 რა სიკეთე მიქნიაო!“

დაარღვია სიჩუმე ახლა შიოს სურმულმა. ეს ხმა ამოდიოდა გულის წიაღიდან, თან ამოჰქონდა იქ შეგუბებული სრე-

მღებები და წყაროს მხედვებით აბნევედა მთვარის სხივებზე; თან ამოჰქონდა პატარა დატანჯული გულის ნაღველი და მიჰქონდა ზეცისაკენ, თითქოს დედამიწაზე ვერ ეპოვა თვისი თანამგრძნობი.

ობოლი სული ქვითინებდა ურმულის ჰანგებში...

— ჰეი! რა ასატირებლად მღერის ჩვენი შიოლაი!—წაიღულუნა ივანემ და მთლად სმენად გადაიქცა. მას გაუკვირდა კიდევ შიოს სიმღერა, რადგანაც, მართლაც და შიოს, რაც ის ხარისხით შეება ოჯახის უღელში, არ დაუღლიღნია: მასაც ხარისხით წაერთვა ენა...

ლამის სიბნელე თან-და-თან იწურებოდა. აღმოსავლეთიდან ბინდ-ბუნდში ნელ-ნელა მოიპარებოდა განთიადის შუქი. ნიავმაც თან-და-თან მოუხშირა; მოუხშირა შრიალი ტყე-შინდორმაც, თითქოს ერთმანეთს ატყობინებდნენ განთიადის მოახლოვებას. მეურმეებმა გადაიარეს არაგვი, გამოვიდნენ მცხეთის გზაზე და გაუდგნენ დიღმის მინდვრით ქალაქისაკენ.

— როგორღაც იკბინება მზე, აედარს აპირებს, აეჩქარდეთ!—გადასძახა ივანემ ურმის კოფოდან შიოს და მოუქნია სახრე ხარებს.

— მგონი!—ჩაილაპარაკა შიომ პასუხად და იმანაც მარდად მიაყოლა ურემი ივანეს. აშურდნენ ხარებიც, ისინიც გრძნობდნენ, რომ შინისკენ მიდიოდნენ, სადაც დასვენება და საკვები ელოდათ. ახლა ტვირთიც აღარ ამძიმებდათ. შეშა გაყიდეს.

იყიდა შიომ დაპირებული შაქრის ბატკანი, „ბუზიკა“, და დანარჩენი ფული მაგრა გამოჰკრა ხელსახოცის ყურში და მიეშურებოდა, რომ გაეხარებინა და-ძმა და დედა მიაი.

ივანე არა სტყუოდა, მზე თუმცა უკანასკნელ სხივებს-

ესროდა დედამიწას, მაგრამ ისე ცხარედ, რომ სურდა დაეწვა იგი, თითქოს ცეცხლის კოცონი უნდა ენთო. არ გაუვლიათ ჩვენ მგზავრებს სულ ერთი საათის მანძილი, რომ უცებ აქეთ-იქიდან ცის გუმბათისაკენ შვიი ღრუბლები წამოვიდა. აქნობამდე სადღაც მიმალულნი, ახლა სწრაფად მოსდევდნენ ერთმანეთს. ცის კიდურზე ხან ერთმანეთს უახლოვდებოდნენ; თითქოს სათათბიროდ, ხან შორდებოდნენ ერთმანეთს და აქეთ-იქით მიიზღაზნებოდნენ ქარავანივით.

ცა ჩაშავდა, ჩამობნელდა. არაგვის გაღმა-გამოღმა მთები შავ, უხარ-მახარ გველ-ვეშაპებს დაეშვავდნენ. ძრიელმა ქარმა წამოუბერა რამდენჯერმე; საიდანღაც მოაყარა თითო-ოროლა წვიმის ცვარები და უცებ შედგა. მაგრამ სიჩუმე მალე დაარღვია გრგვინვამ და შორს, კოდორის მთის მწვერვალზე, შავ ღრუბლებში გაიკლანა წითელი გველი. აგრგვინდა ცა; გრგვინვამ ჭექის ტალღები გასტყორცნა აქეთ-იქით და წყვილიადით მოცულ დედამიწას დაუთქაფუნა კოკის-პირული წვიმა.

აქუბდა არაგვიც. ორივე მხრიდან ორმა ნიანგმა—მთამ დააქანა თვისი ნაკადულები ქვევით, ააგუგუნა ხევები და მიუსია არაგვს, ეღვასავით გამოქანებული ნიანგვარი. არაგვი-კი შფოთავდა, ღრიალებდა, ჰხეთქდა კიდევებს და გაცოფებული გამორბოდა ქვევით, რომ გადაეთელა ყოველივე, რაც-კი გზაში შეჭხედებოდა.

— ჰაი, შიოლავე! ჰაჰაჰაჰი!

— ძლივს-ძლიობით ისმოდა ამ აურ-ზაურში ივანეს ხმა. ის ეძახოდა შიოს, რადგან მათ სიბნელეში დაპარგეს ერთმანეთი. მაგრამ პასუხს არავენ სცემდა. შიოს არ ესმოდა მისი ხმა.

ვათენდა. ბზობის დღია. თითქოს ბრძოლაში გამარჯვებული ვშირი—დედამიწა ლიტანიობდა. ცა დამშვიდებული იყო. შხის პირველმა სხივებმაც მალე გაფანტეს აქეთ-იქით უკანასკნელი ღრუბლები და მხოლოდ სველი, ნამებ-აკიმციმებული მინდორ-ველი და ყვითლად შედებილი არაგვი, რომელიც ჯერ კიდევ ბუტბუტებდა, გვაგონებდა წუხანდელ ქექა-ქუხილს.

სოფელ .N-ის მცხოვრებნიც გარედ გამოფანტულიყვნენ. აქა-იქ სოფლის გოგოებს თამაშობა უკვე გაემართათ. დასრიალებდა მათ შორის მარიკელაც ახალ „ბუზიკის“ მოლოდინში. ნიკოც, ვიდრე შაქროს ბატკანი მოუვიდოდა, ქალაქურ ბატკნის „ბეეე“-სა სწავლობდა. მხოლოდ მოუსვენრად ჰგრძნობდა თავს მაია. ის მალი-მალ მიიღებდა ხოლმე შუბლზე ხელს და გახედავდა სოფლისკენ მომავალ გზას. მალი-მალ პირჯვარს იწერდა და რალაცას ფურჩულებდა ტუჩებით. წუხანდელმა საშინელმა ღამემ ის შეაფიქრინა.

„მოდიან!—მოდიან!“—დაიძახა უცებ ვილაკამ და თითი გაიშვირა გზისაკენ. მართლაც იმ მხარეს ურემი გამოჩნდა; კოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა მეორე, მესამე და ამგვარად რამდენიმე ურემი მოიზღაზნებოდა სოფლისაკენ. წყუდიად ღამეს მეურმეები შეეჩერებინა და ერთად შეეგროვებინა მეზობლები.

მაიამ მათ დანახვაზე ისეთი შვებით ამოიოხრა, თითქოს რალაც მძიმე მოსწყდა მის გულსაო.

კოტა ხნის შემდეგ ურემები სოფელში შემოვიდნენ. მაია, მარიკელა და ნიკო გაეშურნენ შიოსაკენ. „მოიტანა! მოიტანა!“ იძახდა ნიკო და ყველაზე წინ გარბოდა. არც მარიკელა იყო ნაკლებ სიხარულში...

„მოვიტანე! მოვიტანე!“ ჩაიქვითინა ივანემ წინა ურემზე და გადახადა ფარაჯა სამუდამოდ თვალე-დახუკულ შიოს.

მაიას ჩამოგლეჯილი თმები ეფინებოდა სველ დედამაწას;



პარიკელას დაღარული ლოყები წითლად აღებავდნენ მუხრანის მთებზე.
 ვე გულ-მკერდს.—ქვითინებდა საშინელის ამბით შეწუხებულ
 ლი მთელი სოფელი. „ზნელაში ერთმანეთი დავკარგეთ; ფონს
 ასცდენოდა... მხოლოდ დილით-ღა ეიპოვე არაგვის პირს ვა-
 მორიყული!“ მოსთქვამდა ივანე შიოს უბედურ ამბავს.

ი. ევდოშვილი.





საქართველოს
ისტორიული მემკვიდრეობის
სამეცნიერო ცენტრი

ფარნაოზ მეფე.

(ისტორიული მოთხრობა).

I.



ილა მწვიდობისა, ბედა! დღეს მცხეთა-ქალაქის ყრილობაა. მამასახლისს სამიარას ამბავი მოსვლია ბერდუჯის¹⁾ საზღვრიდან, რომ საცაა მაკედონელები²⁾ შემოგვესევინან ღ. გვიშველეთო, თორემ მერე გვიანლა იქნებაო, ჩვენც წაგვახდენენ და თქვენცა, ჯერ ჩვენ აგვიკლებენ სახლსა და კოლ-შვილსა და მერე თქვენაო. უმჯობესია, ისევ ახლავე გვიშველოთ, აქ, საზღვარზე.

¹⁾ ბერდუჯი არის ახლანდელი მდინარე ბორჩალო ანუ დებედა, ერთვის მდინარე ხრამსა მარჯვენა მხრიდან, თბილისს ქვემოთ. რადგანაც ბერდუჯი იყო საქართველოს აღმოსავლეთ-სამხრეთის საზღვარი, ამიტომ იგი მდიდარია ბევრი შესანიშნავი ამბით. მაგალითად, ისტორიიდან ვიცით, რომ არჩილ მეფემ (413—434 წ. წ.) დაამარცხა აქ რანისა (ყარაბაღისა) და აღირბეჟანის ერისთავნი, რომელნიც საქართველოში შემოსევას ლაშობდნენ. 1221 წელს ამავე წელის კიდევბზე დამარცხდნენ ქართველნი მონგოლთაგან, შემდეგ მათ გზა გაეხსნათ საქართველოს შუა-გულისკენ. 1393 წ. მეფე ბაგრატ მეხუთის შვილი გიორგი-თავს დაესხა აქ თემურ-ლენგის 12,000 ჯარს და მთლად ამოწვიტა.

გაცევთ მტერს. პასუხი, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში შემოუშვითო. წამო, ბარემ ერთად წაიღეთ, ვნახოთ რას იტყვიან ხალხი და თავკაცები, — ეუბნებოდა მცხეთელი გოთუ თავის მეზობელ ბედას.

— წაიღეთ, გოთუ! გუშინ საღამოს მეც მოვკარი ყური მაგ ამბავს, მაგრამ დაღლილი ვიყავ, ის იყო ტყიდან მო-

იგი, შემდეგ გახარებულნი მამა-შვილნი მიუხდნენ თბილისს, თათარნი ამოწყვეტეს და ქალაქი თვით დაიბრუნეს. სპარსეთის შემდეგი მფლობელნიც მარად იმას კდილობდნენ, რომ როგორმე წაერთმიათ ქართველებისთვის ეს მშვენიერი ხეობა, მაგრამ ამოდ, რადგანაც ქართველნი სისხლის უკანასკნელ წვეთამდინ იკავდნენ მას მაგალითად, 1488 წ. იაკუბ-ყაენის ბრძანებით მოვიდა აქ ხალილ-ბეგი ჯარებით და დაიწყო აშენება ალჯა-ყალისა (თეთრის-ციხისა) და ქაოზიანის ციხეებისა, მაგრამ ქაიხოსრო ციცი-შვილმა, ჯაყან-ჯაყანი-შვილმა და ბარათა-შვილებმა ისეთი მუსრი გააღეს მის ჯარებსა, რომ ხალილ-ბეგმა მიიტოვა ციხეები და სპარსეთს გაიქცა. ორის წლის შემდეგ სპარსელებმა მაინც დაასრულეს ციხეების აშენება, მაგრამ კონსტანტინე მეფემ აიღო ისინი და მიწასთან გაასწორა. ერთი სიტყვით, ერთ მტკაველ მიწას ვერ ნახავთ აქ, რომ ქართველის სისხლით და ძვლებით არ იყოს იგი მორწყული და გაპოხიერებული, მაგრამ დროთა ბრუნვამ ბერდუჯი მაინც მოსწყვიტა დანარჩენ საქართველოს და დღეს იქ უმეტეს ნაწილად სხვა ეროვნების ხალხნი ბინადრობენ.

მაკედონელები არიან ბერძნების მონათესავე ხალხი და ცხოვრობენ დღესაც საბერძნეთის ჩრდილოეთით ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე. ფილიპე მეფის დროს მაკედონიამ მიიღო პირველობა (უფროსობა) საბერძნეთის ყველა რესპუბლიკათა შორის, ხოლო ფილიპეს შვილმა ალექსანდრემ, მამის სიკედილის შემდეგ, მაკედონიის ეს პირველობა დასცილდა მთელ საბერძნეთში, შეადგინა მაკედონელების და ბერძნების ერთი ძლიერი ჯარი და 334 წელს ქრისტეს შობამდე შეესია სპარსეთს და დანარჩენი იგი. ჩვენი მემბტიანის სიტყვით, სპარსეთთან ერთად, მაკედონელებმა დაიპყრეს ჩვენი ქვეყანაც. აი ეს უკანასკნელი ამბავი და შედეგი ანთაქისის ფლება არის აწერილი ამ მოთხრობაში.



ვედი, სადაც ორი დიდი მუხა მოვკერი საკოპედ ღვენი
 მოვხებრზე შენთვის შეეითბა ამბავი; მცირედ დაენაყრდი თუ
 არა, თურმე იქვე კერასთან მიმძინებოდა დაღლილს. დღეს
 იმიტომ ვარ ესე აღრე ამდგარი.

— კარგად მოგსვლია, ბედა! მე კი იმიტომ ავდექი ასე
 აღრე, რომ ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ქართლოსიანთ
 ხიუათი მოგველის და იუ დროზე არ შევეუდექით თადარიგს,
 ადვილად შესაძლებელია მტერმა მთლიად გადმოლახოს ჩვენი
 საზღვარი და თავზე კოკონი¹⁾ აგვინთოს. კოლოტები²⁾ ავი-
 ლოთ და წავიდეთ, თორემ ხომ იცნობ როგორი ფიცხია სამა-
 რა, ის უკვე გარეთუბანს იქნება...

— ძალიან კარგი, — უთხრა გოთუს ბედა; — წავიდეთ, ახ-
 ლავე გამოვიტან კოლოტსა და ჩოხასაც ახალს ჩავიცვამ; მგო-
 ნი, მთელი ქვეყანა იქ იყოს...

— ქეშმარიტებაა. ქარლოსიანთ ყველა მამასახლისებია
 დღეისთვის დაძახებული. ეს ერთი თვეა, რაც სამარა—მამასა-
 ხლისმა ოთხ-კუთხივ დაგზავნა შეიკრიკები და დააბარა: ვისაც
 გული და მკლავი გერჯისთ, უთუოდ მოდით კრებაზედაო!..

— აი, მზადა ვარ, გოთუ, წავიდეთ! სამარას ძმაზე, მიტ-
 რიდატზე, ნეტავი რაღას ამბობენ? თვეზე მეტია, რაც მიტ-
 რიდატი ბერდუჯისაკენ წავიდა მოწინავე ჯარით, ჩემი ბე-
 როც ხომ იმათშია, და მას აქეთ აღარაფერი ვიცი მათზე!..

— აბა, სწორედ მიტრიდატისაგან მოსულა ეს ამბავი,
 რომ მალე მოდითო, მაკედონელებმა მთელი საბერძნეთი შე-
 იერთესო; დიდ გმირს ამბობენ მათ ახალგაზდა მეფეს, აღექ-
 სანდერს: ომში იმდენად თითონ მეფე არ ხოცავს მტერსა,
 რამდენსაც ივის ცხენიო; მეფე ხარ-თავის ეძახის თავის ცხენს,

¹⁾ კოკონი—ძლიერი ცეცხლი.

²⁾ კოლოტა—რკინის კეტი, რომელსაც ხმარობდნენ ომში უწინდე-
 ლი ქართველები და სხვა ხალხები, როგორც დასარტყმელ იარაღს.

რადგანაც ხარსავით დაიხრის თურმე ის დალოცვილი თანა და ქარსავით გაქანებული ტყაპა-ტყუპით ისერის აქეთ-იქეთ უველასა, ვინც-კი დაუდგება წინაო. სპარსნი სულ ხუთიოდე ბრძოლით დამორჩილა და ახლა ქართლოსიანებს გვემუქრებაო!..

— გვემუქრება!? მობრძანდეს და ახლა ჩემი კოლოტას ზარიც ნახოს იმ თავ-ქარიანმა. ერთი ისეთი ვდრუზო მის ხართავას, რომ პატრონიანად იქვე მიწას გაეკრას, — სთქვა ბეღამ და თან თავისი ნახევარ-ფუთიანი კოლოტა ისე შეათამაშა ჰაერში, რომ გვეგონებოდათ, უბრალო საბრეს იქნევსო...

— გუშინ ჩემი ჯალაბი ლაპარაკობდა, — განაგრძო გოთუმ, — რომ შიტრიდატის ცოლს ვაფი ჰყავსო. ფარნაოზს არ-ქმევენო, ახლავ გმირის მკლავი და თვალეები აქვსო, ორი კვირის ბაღლი ორი წლისას ჰგავსო... სამარა-მამისხლის ხომ შეიღი არა ჰყავს და, ვენაცვალე ჩვენ მზე-მთვარესა, კი პატრონი გაგვეზრდება ქართლოსიანებს!..

— სრული ჰეშმარიტებაა, გოთუ! მე თითონაც ვიყავი პათთან და ბაღლიც ვნახე. სამოცი წლის კაცი ვარ და ჯერაც არ მინახავს ასეთი ბაღლი.

— უჰ, რამდენი ხალხია!? მე აღრე მეგონა და იქ-კი უკვე მთელი ქვეყანაა თავ-მოყრილი. ფეხი ავაჩქაროთ, ვინ იცის რა გადასწყვეტოს კრებამ, ჩვენც გავიგოთ, — სთქვა, გოთუმ, როცა მიუახლოვდა გარეთუბანს და დიდ-ძალი ხალხი დაინახა. იქ. გოთუმ ფეხს აუჩქარა, ბეღაც მას მიჰყვა.

II

მისის დღეა. მთელი მცხეთა და მისი კოხტა არე-შარე ხეზილითა და წაირ-წაირი ყვავილებით არის აფერადებული. ახლანდელ მწირ¹⁾ მცხეთას-კი არა ჰგავდა მაშინდელი მცხეთა:

¹⁾ მწირი — მცირე-მოსავლიანი, მცირე ნაყოფიერი.

ერთ ნაბიჯსაც ვერა ნახავდით იქ დაუმუშავებდლსა; მცხეთა მაშინ ქართლოსიანთ დედა-ქალაქი იყო და ერთიან ბაღს წარმოადგენდა; ერთ მცირე ხევს ვერა ნახავდით, რომ შიგ მოსახლობა არ ყოფილიყო ბალ-ბოსტანით შემოფარგლული; მთელი არე¹⁾ ისე იყო გამოქედილი მოსახლობით, რომ მაშინდელი მცხეთა შეიდ-რვა ვერსზე იყო გადაქიმული მტკვარსა და არავის ორთავ შხარესა. ახლა რომ მცხეთელები უწყლოდ იხოცებიან, იმ ნეტარ დროს იმდენი წყარო ყოფილა მცხეთის მთებში, რომ კოდმანიდან²⁾ კარგა მოზრდილი მდინარე მოდიოდა თურმე და მთელი მცხეთის ბალ-ბოსტნებს მარტო ისა რწყავდა. ახლა-კი იმ კოდმანის მდინარის ნასახიკ აღარსად არის, არა თუ მთელ მცხეთას რწყავდეს. სულ-კი ტყეების უმოწყალოდ გაჩეხვის გამო დაემართა ეს ამბავი მცხეთას!..

როცა ბედა და გოთუ გარეთუბანს მივიდნენ, ხალხი უკვე ბუხსავით ირეოდა და ყველანი ასპარეზისაკენ მიიწვედნენ, რომ წინაღვე მოხერხებული ადგილი დაეკავათ ქვეყნის თავ-კაცების პირის-პირ. მამასახლისი სამარა ჯერ გამოსული არ იყო. ის ამ დროს მცხეთის სამამასახლისოს დარბაზში იყო ქართლოსიანთ ყოველ კუთხიდან ჩამოსული თავკაცებით. ამათ აქ, თურმე, მთელი ღამე თათბირი ჰქონდათ იმაზე; თუ რით და როგორ უშველონ ქვეყანას, როგორ დაიხსნან ქართლოსიანები ძლიერის მტრისაგან. დაგზავნილი შიკრიკები უკვე ყველანი თავის ადგილას იდგნენ. შიკრიკთ-უფროსი შევიდა დარბაზში და მოახსენა მამასახლისს, რომ შიკრიკებმა ბრძანება შესრულეს, ხალხმა დიდი ხანია თავი მოიყარა და თქვენ გამოსვლას ელისო...

სამარა-მამასახლისი იყო გმირი მცხეთოსის შთამომავალი. ქართლოსიანთ მეთაურობა მას ძლიით არ და-

1) არე — ოთხივე კუთხე ქვეყნისა, გარეშეშო ადგილი.

2) კოდმანი — ზემო, დასავლის ადგილი იყო მცხეთისა.

უკერია; ეს უფროსობა მასზე გვარიდან გვართ გადმოვიდა და ისიც ცდილობდა პირნათლად შეესრულებინა ქვეყნის წინაშე ათასი წლებით განმტკიცებული ვალი მცხეთის მამასახლისისა—ქვეყნის პატრონობა და მისი დაცვა მტრისაგან. მისთვის არც ახალი იყო ასეთი ამბავი: ბევრჯელ შეუწანებია მას მტრისათვის ქართლოსიანთ შეწუხება; ბევრჯელ უჭვენებია მათთვის ქართლოსიანთ სიმტკიცე და ერთობის ძალა. ახლაც ეს იმედი ასულდგმულებდა სამარა-მამასახლისს, ახლაც ქართლოსიანთ სიმტკიცე და ერთობა ეგულებოდა მას ახალ მოვლენილ მტრის დასამარცხებლად, მაგრამ მოსტყუვდა. აღმოჩნდა, რომ სიმტკიცე და ერთობა მტერსაც დიდი ჰქონდა, გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე ქართლოსიანებს, ხოლო, ზედმეტად, მაკედონელთ გმირი მეფე, ალექსანდრე, დიდად განსწავლული იყო ფილოსოფოს არისტოტელისაგან და, მზგავსად თვისი დიდი მასწავლებლისა, თურმე ხშირად იტყუდა:

— სიმტკიცე და ერთობა ერისა და ჯარისა, მართალია, კარგი საქონელია, მაგრამ ომში მარტო ამით დაკმაყოფილება არ გამოდგებაო: აქ უფრო კოდნა და საუკეთესო იარაღია საკიროო!..

ამიტომ, ვამეფდა თუ არა, ალექსანდრე მეფემ უაღრესი ყურადღება მიაქცია ამ ორ საგანს და ისე ჩინებულად გაწრთენა და შეიარაღა თავისი ჯარი, რომ იმ დროს მაკედონიის ჯარი უპირველეს ჯარად ითვლებოდა მთელ დედამიწის ზურგზე. ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ ასე მაკედონელი ათას უმკლავდებოდა და ადვილად ამარცხებდა მტერს.

მართალია, არც სამარა-მამასახლისი იყო ნაკლებად გმირი კაცი: იგი იყო მაღალი, მხარ-ბეკიანი და კამჩის ძალის მქონე. მისი კოლოტა სრულს ფუთს იწონდა და ამ საშინელ იარაღს ის ისე ხმარობდა და იქნევდა, როგორც მეურვე შოლტსა თუ საბრესა, ასე რომ ერთ მოქნევაზე ათსა და მეტ მტერს უბნებებდა თვალსა.

III

ხალხი მოუთმენლად ელოდა თავ-კაცების გამოსვლას დარბაზიდან. აი გამოჩნდა შიკრიკო-უხუცესი და დაიძახა, რომ მამასახლისები ახლავ გამოვლენო. მართლაც, შიკრიკო-უხუცესს სიტყვა ჯერ არც-კი დაეთავებინა, რომ დარბაზის კარებში გამოჩნდა სამარა-მამასახლისი თვისი განუყრელი კოლოტით მარჯვენა ხელში და ქართლოსიანთ სხვა თავ-კაცებიც ასეთივე კოლოტებით. სამარა—მამასახლისმა სალაში მისცა ხალხს და უთხრა:

— ქართლოსიანებო! ჩემი ძმა პიტრიდატი, რომელიც მოწინავე ჯარითა მყავს საზღვრისაკენ გაგზავნილი, მატყობინებს იქიდან, რომ მაკედონელები მეზობელ ქვეყნებს იტყუარენ და მალე ჩვენც შემოგვერევიანო. აუცილებლად საჭიროა მთელი ქართლოსიანთ გვარი აამხედროთ და ჯარი საზღვარზე დაეახვედროთ მტერს, თორემ იგი მკალსავეით მოდის და მარტო ჩვენ ვერას გაეხდებათ მის წინააღმდეგო... წუბელის მთელი ღამე ვითათბირეთ მე და ქართლოსიანთ თავმა-კაცებმა იმაზე, თუ რა გზას დავადგეთ ჩვენ. გადავსწყვიტეთ: მტერს საზღვარზე დაუხვდეთ და ჩვენ ქვეყანაში არ შემოუშვათ! ძმა მატყობინებს, რომ მაკედონელებმა უკვე დაიჭირეს მთელი სპარსეთი, ბარდავი ¹⁾ და რანი ²⁾ ახლა

¹⁾ ბარდავი იყო ქალაქი მტკვრისა და არაქსის შესართავთან ახლო. ჩვენი მარტიანეს სიტყვით, ბარდავი ანუ ბარდა ააშენა ქართლოსის ძმამ ბარდოსმა. შემდეგში ბარდავი ისეთი დიდი ქალაქი გახდა, რომ თვირანს მერე იმაზე დიდი ქალაქი აღარ იყო, რის გამო მერვე საუკუნეში ალბანიის მეფეებმა იგი თავის სატახტო ქალაქად გაზადეს. როგორც მდიდარი და ვრცელი ქალაქი, ბარდავი ხშირად იზიდავდა მპყრობელთა ყურადღებას. მაგალითად, აშოტ დიდის კურატპალატის დროს (786—826) იგი გყუთუნოდა საქართველოს და თბილისთან ჩვენი მეფეების ადგილ-სამყოფელად ითვლებოდა. 914 და 943 წლებში იგი ააფორიაქეს

ჩვენსკენ მოდიანო; საჭიროა ბერდუჯის წყალზე დაეხვედროთ მათ შთელი ჩენი ძალოა. ნულარ დიგვიანებთ, გელითო!..

— მზადა ვართ, მამასახლისო! გვითხარ სად და რა დღისათვის მოვიყაროთ თავი?— შესძახეს ერთხმად ხალხმა და თავმა-კაცებმა.

— დიღმის მინდორზე, ქართლოსიანებო! დღეის სწორის-სწორზე გელით იქ ყველას, ვისაც-კი გერჯისთ მკლავი და გული მოძალადის სიამაყის დასათრგუნავად და მამულის დასაცავად!.. არ დაივიწყოთ ერთი რამეც: გამარჯვება ბედის წერაზეა დამოკიდებული: შეიძლება ჩვენ გავიმარჯვოთ და შტერს იქვე შევანანიოთ თვისი თავებდობა; მაგრამ შეიძლება დავმარცხდეთ კიდევ, ამიტომ თადარიგი მიეცით სახლში, სად და როგორ გაიხიზნენ თქვენი ცოლ-შვილნი, თუ ვინიცობაა ბედმა გვიმუხთლოს და შტერმა გაიმარჯვოს!..

ხალხი დაიშალა. ყველა გაეშურა თავ-თავის სახლისაკენ, რომ აცნობოს მეზობლებს ქუღზე კაცის დაძახება და დიღმის მინდორზე თავის მოყრა.

IV

ამოძრავდა ქართლოსიანთ სოფლები. ყველა გატაცებულია ერთი აზრით: შტერს თავ-გასულობა შევანანიოს! სამკვდ-

რუხებმა, 1121 წ. დავით აღმაშენებელმა სასტიკად დაამარცხა აქ თურქები და ბარდაეიც წარსტაცა მათ. 1194 წ. დაიპყრეს იგი თამარ-მეფის ძლიერ-მოსილმა ჯარებმა, ხოლო თემურ-ლენგმა ისე გაანადგურა უბედურ სევზე დაბადებული ქალაქი, რომ ბარდაეი მას შემდეგ აქამომდე წელში ვეღარ გასწორებულა.

ა) რანი — აზღანდელი ყარაბაღი, ე. ი. შუშის გარეშე მო ალაგები და მახრებია.



ლოებში დღე-ღამე-ღამე აჩქარებული და შეუწყენებელი მდგომარეობაა. მკედლებისაგან უროების*) ცემის ბოლო არა აქვს, ყველა ხმალი-ხანჯალსა და კოლოტებს აქედღინებს. ზოგი ახალსა და ზოგი ძველსა. მკედლებს მოსვენება არა აქვთ: თითო საათის ძილით თუ მოატყუებენ თვალს, იქვე სამკედლოს გვერდით სადმე მიგდებით, თორემ იმაზე მეტ მოსვენებას იღარავენ აკლის: ქვეყანა ბრძოლისათვის ემზადება და მკედლებიც თავ-გამოდებით ირგებიან!..

საამური სანახავია ქართლოსიანთ სოფლები: ამხედრებული ხალხი მთელ დღეს ასპარეზზე ატარებს. ყველანი მარტო იმაზე ბქობენ და ლაპარაკობენ, თუ ვინ დააყენონ თავიანთ წინამძღოლებად. დიდად დახელოვნებულნიც არიან ქართლოსიანები ამ საქმეში: იშვიათია შეხედეთ არჩეანი! მომეტებულად ნამდვილად ღირსეულს აკუთვნებენ ხოლმე ამ საპატიო წოდებას და კრდევაც ეს იყო მიზეზი, რომ უწინდელი ქართლოსიანები იშვიათად მარცხდებოდნენ მტერთან ბრძოლაში..

დასრულდა მომზადება თუ არა, წინამძღოლებმა მოუყარეს თავი ჯარის კაცებსა და მთელი სოფლის ქალის და კაცის თანადანსწრებით დახედეს მათ, რომ შეიტყონ, ვის რა აკლია და დროზე შეავსონ ყოველი ნაკლი. აღმოჩნდა, რომ ზოგს ტანსაცმელი არ უფარვა, ზოგს იარაღი აკლია, ზოგი სნეულია და ზოგი მკირე-წლოვანი. ყველა ასეთი ნაკლი ხელად შეავსეს მთელი სოფლის შემწეობით და ისე დანიშნეს წასვლის დღე: რომ რაზმები ყოველი სოფლიდან სწორედ სწორის-სწორზე ყოფილიყვნენ დიღმის დიდ, ბალახოვან მინდორზე.

საამურ სანახაობას წარმოადგენდა ამ დროს აგრეთვე მთელი ქართლოსიანების მთა-ბარის გზები: რაზმი-რაზმს მო-

*) ურო — რკინის დიდი ჩაქუჩია, რომელსაც სცემენ გაელვარებულ რკინას გრდემლზე.



სდევდა და ხევ-ლეღეებიდან შეუწყვეტელი გამოძახილი მოისმოდა მათ სალაშქრო გუგუნზე და სიმღერებზე.

V

მისის შუა რიცხვებია. დიღმის მინდორი ჯარით გაიფსო. გაზაფხულის მზის ცხოველი სითბოთი შეზავებული დიღმის სიგრილე ერთი ათად აძლიერებს და ახალისებს ადამიანს. აძლიერებს და ახალისებს იგი ჯარის კაცებსაც.

მცხეთის მამისახლისს სამარას და მის გვერდით მყოფ ზოგიერთ თავ-კაცებს: აქამომდე უძლეველი სპარსეთის მარცხი მაკედონელთა გმირისაგან აფიქრებს და ათასნაირ საექვო აზრებს უბადავს.

— დარბოზ მეფემ ვერაფერი გააწყო მაკედონელების წინააღმდეგ მთელი ასი-ათასიანი ჯარებითა და ჩვენ რაღას უნდა გავბდეთ მარტოდენ სამოცი ათასი მხედრითაო, — ფიქრობდა მწარედ დიდუშებულო სამარა-მამისახლისო, მაგრამ იგი მაინც გულს არ იტეხდა.

— ჩვენ სხვა ვართ, სპარსნი სხვანი არიან! ცდა ბედის მონახევრეა, ნათქვამია, და ჩვენც უნდა ვცადოთ უთუოდ: უკან დადგომა არ იქნება; თუმც ვგრძნობ, რომ ძვირად დაგვიჯდება ქართლოსიანებს ეს ცდაო!..

სამარა შეჯდა თრიალეთის მთის ბალახით გახალისებულ მერანზე *) და უბრძანა ჯარს რაზმებად დადგომა. ჩაუარა, გაამხნევა ყველანი მამაკურის სიტყვებით; გაახსენა ყველას გმირი მამა-პაპები, როგორ უშიშრად ებრძოდნენ ისინი მტერს, როგორ დაუზაკველად ღვრიდნენ სისხლს მამულისთვის და სთხოვა ამათაც არ დაეზოგათ თავი და სისხლის უკანასკნელ

*) მერანი — საუჯეთესო სტენი.



წვეთამდის ებრძოლათ მტერთან. ჯარიც ეფიცებოდა თავ-და-
 დებას— „ოღონდ შენ გვეყვდე, მამასახლისო, ცოცხალიო!“

რა დასრულა დახედვა, სამარა-მამასახლისი გაუძღვა
 ჯარს და სიმღერა-ცეკვით წაიყვანა იგი ბერდუჯის საზღვრი-
 საკენ...

ივ. როსტომაშვილი.

(შემდეგი იქნება).





უკველეს დროის გავთვის თავ- გადასავალი.

(გაგრძელება).

III

მოვალეობა და შიმშილი.

ოფოს დაბრუნება. — ჭრედა. — კრეკის შეცდენა. — ოფო დევსასწაუ-
ლისს. — სამა ფიჭვის ხის ვაკე. — ვარ-თავგების გადასახლება. —
ანა ჩეკულებრივი განსაცდელი. — შატარები ამარცხებენ დაღებს. —
ბავშვები ფიჭვებზე წინცოცავენ. — ვაკე. — გაუფრთხილებული დაოფა. —
ენხულის სწოლი.



იღი ხანი იყო ჩაცუტული კრეკი შარ-
ტოდ-მარტო კერასთან, გულ-მოღვინდ
თვალ-ყურს ადევნებდა ცეცხლს, თან სა-
ზიზღარ პარაზიტების ჭერაში გართული-
ყო, რომელნიც მის ტანზე ბლომად და-
ცოცავდნენ. ამ დროს ჩქარი ფეხის ხმა
შემოესმა, ქვებზე და ლოკოკინებზე, რო-

მლითაც მღვიმეს კარმიდამო იყო მოფენილი.
კრეკი ამ ხმაურობაზე მობრუნდა და თავისი ძმა დაინ-
ხა. მოჭანკული ოფო: სიხარულისგან გაბრწყინვალეებულის



თვალებით შემოვიარდა. ხელში კუდით რალაცა მზავისი ცხოველი ეჭირა.

ეს ქრელი იყო, იმ ცხოველის წინაპარი, რომელიც ახლაც ცხოვრობს ციმბირში.

— უყურე, რა მოვეკალი, — ყვიროდა ოყო: — მარტოკა მე მოვეკალი! უჰ! მე კარგი მონადირე ვიქნები! — სწრაფად დაავლო ძმის ფეხებ წინ ცხოველი. ისე აღტაცებული იყო, ვერც-კი შეამჩნია, რომ კრეკი მარტო იყო.

— მე მომყვევით ყველანი! ჩქარა! იქ ბევრია კიდე, ზევით. თუმც ძალიან ჩქარა გარბიან, მაგრამ, თუ ყველანი ერთად წავალთ, ბევრს დავიჭერთ და ბლომადაც ვკამთ ამაღამ. აბა, მალე!

— ნუ ყვირი მაგრე, ბავშვო: განა ვერა ჰხედავ, რომ ყველანი ტყეში წავიდნენ, — უთხრა კრეკმა. მე დავრჩი მარტო. რა მოგივიდა, დაბრმავედი თუ?

ოყომ ერთი მიიხედ-მოიხედა და დარწმუნდა, რომ კრეკი არ სტყუოდა. ამ ამბავმა ოყო საშინლად დააღონა. ის საერთო სიხარულს, აღტაცებულ მადლობას მოელოდა თავის უფროს ძმების მხრივ და ქებას უხუცესისაგან. და მან ამისთანა ჩინებულ საჩუქრის მაგივრად ცივი, დამკინავი სიტყვები მოისმინა.

მალე სული მოიბრუნა ამ მოულოდნელ ელდისაგან და შეუდგა საჩქაროდ და სლოკინით, გატაცებით ნადირობის აღწერას. ამ ნადირობის მოწყობა ახლაც ადვილი იყო. ამისათვის საჭირო იყო, რომ პატარა ზემოდ ასულრეკენენ ვაკეზე, მუზის ტყის განაპირს. კრეკიც დარწმუნდა რომ ღიდი მნიშვნელობა ექნებოდა ოჯახისთვის ოყოს ასეთ აღმოჩენას, ამიტომ აღედგებულის ხმით დაიძახა:

— აბა, მალე გზას გაუდგეთ!

ამასაც ძმასავით იმედი მიეცა აუარებელი საზრდო-ეშონა ყველასათვის. მერე ისიც იმისთანა გაჭირვების დროს;

ამიტომაც წამოაგო მძიმე ჯოხს ხელი და გამოუდგა ძმას: მაგრამ, ამ დროს მოაგონდა ცეცხლი, რომლისათვისაც მას ყური უნდა ეგღო. შეჩერდა და ფიქრს მიეცა.

— წამოდი რაღა, — მიაძახა ოგო, რომელიც გასულიყო კიდევ მღვიმედან, — წამოდი, თორემ დაგვიანდება. აი იმ სამ მკვდარ ფიქვთან იყო ამ ცხოველების პატარა ხროვა. ჩვენ კიდევაც ხელთ ვიგდებთ მათ, თუ დავაშურებთ.

— მერე ცეცხლი, ოგო? — წამოიძახა კრეკმა: — უყურე, რა მხიარულად გაქონდა ტაცა-ტკუსი, ახლა-კი ქრება; ესეც ხომ მშვიერია!

— აქამე მაშ, — მიუგო ბავშვმა, — რაც შეიძლება ბევრი აქამე. ჩვენ ხომ იქ დიდხანს არ დავრჩებით. ჩვენ დაბრუნებამდის სუყველაფერს ვერ ჩანთქვს.

— შენ აგრე გგონია, ოგო?

— რასაკვირველია, ჩვენ მხოლოდ სამ ფიქვამდის უნდა მივიდეთ. მალე დავბრუნდებით. ორივე ერთად კარგა ბლომად გავსწყვეტავთ იმ პატარა ცხოველებს. იქ კიდევ, ზევით, ჩვენი შრომის დასაჯილდოებლად დავლიოთ მათი თბილი სისხლი, — მხოლოდ ძარღვები, ფრჩხილებით უნდა გადაუქრათ.

კრეკსაც ძმის სიტყვები ჭკუაში უჯდებოდა, მით უმეტეს, რომ შიშვლით კუჭი ეწვოდა, მაგრამ თავის მოვალეობასაც არ ივიწყებდა, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო და ფიქრს მისცემოდა.

შევაყარო ცეცხლს, იქნება არ ჩაქრეს. მით უმეტეს, რომ მოკლე ხნით მივიღივარ. აჰას გარდა, ფიქრობდა კრეკი, ასე მოკლე ხნით მოვალეობის ღალატი დიდი დანაშაულობა არ იქნებოდა, რადგანაც ნება არა ჰქონდა უარი ეთქვა ისეთ ბედნიერებაზე, რომელზედაც ახლახან ოგომ უამბო.

ბავშვი, თვითონაც მშვიერი, ოჯახის მდგომარეობის გამო უფრო იტანჯებოდა. მერე რა ადვილად შეეძლო თავისთვისაც და ოჯახისათვისაც ეშველა! და ამიტომ ბევრი უ-



ყმანის შემდეგ გადასწყვეტა თავისი პირდაპირი მოქმედების
თვის ელალოტა და ოგოს გაპყოლოდა.

მალე მიაღწიეს გორაკის წვერს: აქედან მიიხედ-მოიხედ-
დეს და გასწიეს სამ მკვდარ ფიქვისაკენ.

მივიდნენ ოგოს მიერ ნაჩვენებ ალაგას. ეს ალაგი
მართლაც ადვილი საცნობი იყო. აქ ამართულიყო სამი
უზარმაზარი, გამბჰარი ფიქვი, მარტოდ-მარტო; თავისი უქერ-
ქო ტოტები; თითქოს ბუმბერაზის ჩონჩხის ძვლებიაო, ცისკენ
გაეშვირათ; ბავშვებმა დაინახეს, რომ გვიშრა და მაღალი ყვი-
თელი ბ.ლაბი ხეების ძირში ძლიერ ტოკავდა; ეს მით უფ-
რო გასაოცარი იყო, რომ ქარი სრულებით არ ჰქროდა.

— აი აქ არიან! — წასწურჩულა ოგომ კრეკს მთლად
ღელვებულმა და ათრთოლებულმა.

— ფრთხილად დავეცნეთ თავს, სანამ არ დაუნახივართ.
ისინი ატოკებენ ბალახს.

ორივე ძმებმა ჯოხები მოიღერეს და წინ წაიწიეს. ისკუ-
პეს და ცხოველების შუა ჩაცვივდნენ, რომელნიც ჩუმად და-
ფუსფუსებდნენ ბალახში და მარჯვნივ-მარცხნივ დაუშინეს
ჯოხები. სულ-კი იმ ფიქრში იყვნენ, რომ რაც შეიძლება მე-
ტი ნადავლი ეშოვნათ.

იმ დროს, როდესაც ეს ორი პატარა მონადირე უწყა-
ლოდ ელეტავდა ამ საცოდავ ცხოველებს, რომლის შთამო-
მავალნი ახლა მინდერის ვირ-თაგვები, თრია-თაგვები და ჭრე-
ლი ცხოველები არიან, — შორს, შეზობელ ტყეებიდან მოისმა
სხვა-და-სხვა ნადირის ყვირილი; უთუოდ უფრო მრისხანე
შესახედაობისა და დიდი ტანისა.

ამავე დროს ოგოს და კრეკს თავს დასჩაბოდნენ ათასო-
ბით მტაცებელი გარეული ფრინველები.

მოქანცულები, ხელებსაც-კი ძლიერ ანძრევდნენ. ერთ
წუთს ორივე ძმებმა შეაჩერეს ცხოველების ამოწყვეტა და
ყური დაუგდეს ყვირილს და ყმუილს, რომელიც ყველა მხრი-
დან მოისმოდა.

შიაჩერდნენ იმ ვაკეს, საიდანაც ისმოდა ეს განუწყვეტელი კენესა და შენიშნეს, რომ იმ ქრელ ცხოველების ხროვა, რომლის შუაგულშიც შეეკვიდნენ, საოცრად მატულობდა, უწინდელი ასი, ასი ათასად იქცა. რომელ მხარესაც უნდა გაეხედნათ ბავშვებს, ხედავდნენ, ბალახი ინძრეოდა და ირბეოდა დიდ მანძილზე, როგორც ზღვის ტალღა.

მაშინ ოჟო და კრეკი უეცრად დანაღვლიანდნენ. რადგანაც სხვა დროსაც უნახავთ ამისთანა შემთხვევა, მიჰხვდნენ, რომ ისინი შორიდან ახლად მოსულ მინდვრის ვირ-თაგვების შუა გულში მოხვდნენ: ამ ვირ-თაგვების რიცხვი ბილიონამდე იქნებოდა. ციე-ქვეყნების მინდვრებზე ახლაც, ჩვენ დროშიაც მოგზაურობს ხოლმე თრია-თაგვისა და ქრელ ცხოველების ჯარი: არავითარ დაბრკოლებას არ შეუძლია უკან დააბრუნოს.

კრეკი და ოჟო დიდ განსაცდელში ჩაეარდნენ. პირველ წუთების აღფრთოვანებას მოჰყვა დაღლილობა და შიში. ბავშვები ალა მიხვდნენ, თუმცა გვიან, მაგრამ მაინც მიხვდნენ რა გაუფრთხილებლად შეეკვიდნენ ვირ-თაგვების ჯარში, რომლის ტალღებიც მატულობდა და ყოველ მხრივ გარს ეხვეოდა მათ. ვირ-თაგვები, რომელნიც წინაღ ამათ გაურბოდნენ, ახლა ფუსფუსებდნენ მათ ფეხებთან და ყველა მხრიდან აწევებოდნენ.

ისინი წინედ თუ დამფრთხალნი გაურბოდნენ ბავშვებს, ახლა იერიში მიჰქონდათ მათზე, მედგრად ეხვეოდნენ ფეხებზე პატარა მონადირეებს, რომელნიც ცდილობდნენ გაქცევას, მაგრამ, საითაც უნდა ვადამბტარიყვნენ, ვირ-თაგვები ფეხებში ედებოდნენ და ის იყო უნდა წაექციათ.

ბავშვები შეჩერდნენ, რადგანაც მათი წაქცევა და სიკვდილი ერთი იქნებოდა. მერე როგორი სიკვდილი: იმათ დააღრჩობდა, გაკლევდა ვირ-თაგვების ჯარი, რომელიც ერთი მეორეს სცვლიდა, ან კიდევ მტაცებელი ფრინველები და



ტყის ცხოველები შესკამდნენ, რომელნიც ვირ-თაგვების ჯარს მისდევდნენ და იყვებოდნენ კიდეც.

ამ საშინელ წუთს კრეკმა დაინახა მკედარი ფიქვის ხეები, რომელთაც საბედნიეროდ მიუახლოვდნენ; იმ დროს, როცა გაქცევის სტილიობდნენ.

ამ ბებერ ხეებზე ადვილი იყო ასვლა; რადგანაც კიბის საფეხურებივით ხორკლები ჰქონდა. ამასთან ბავშვებიც ძალიან მარდები იყვნენ.

ორივე პატარა მონადირე, თუმცა საშინლად დაილაღნენ და უწყალოდ დაკბენილებიც იყვნენ ვირ-თაგვებისაგან, მაგრამ მაინც როგორც იყო ისევ ჯობებით გაიკვლიეს გზა.

ამნაირად მიაღწიეს ფიქვების ძირამდის. აქ კრეკმა მარდად შეისვა ზურგზე და ხეზე აცოცდა.

პატარა ნადირების წინა რიგმა იერიში მიიტანა იმ ხეზე, რომელიც კრეკმა ამოირჩია; მაგრამ ამათ უკანოდან სხვა ნადირები მოაწვნენ და გადათელეს.

კრეკმა დასვა ოყო ერთ მალალ, მაგარ ტოტზე, თვითონ შიშისაგან ათრთოლებულმა ისევ ვაკესკენ დაიწყო ყურება.

მთელი ეს ვეებერთელა დაცემული ვაკე სულ ვირ-თაგვებით იყო მოფენილი.

ამ პატარა ცხოველების ბინის ცვლა-მოგზაურობას ბოლო არ ჰქონდა და როგორც ეტყობოდა შუალამედის გასტანდა.

ოყო სიცივისგან და შიშისაგან მძას ეკვროდა.

მაგრამ უშიშარ აღავს რომ მიაღწია, გული მოიბრუნა და სტილიობდა ჯობით მოვეგერებინა ფრინველები, რომელნიც დაღალულობისა თუ იმის გამო, რომ აღლო აელოთ, ფიქვის ხის ტოტებზე სხდებოდნენ ბავშვების ახლოს და თან ყურებს უქედავდნენ საშინელის ჩხავილით.

მაგრამ დაღამებამდის ამ ვაკეზე სქელი ნისლი ჩამოწვა ბავშვების საბედნიეროდ: უამისოდ ბავშვებს ხეზე შეამჩნევდა დათვი, რომელიც მათ შორიდან დაინახეს.



ჩაკემა დასვა ოცო ერთ მა-
ღალ, მაგარ ტოტზე, თვითონ
შიშისაგან ათრთოლებულმა
ისევე ვაკესაკენ დაიწყო ყურება.



მაგრამ მრისხანე ნადირი, რომელსაც გზაში ვირ-თაგვები დახვდნენ, დიდ გაჭირვებაში იყო, ხტუნავდა და გამძვინვარებული საბრალოდ ლმუოდა.


— ძმაო, — სთქვა კრეკმა, — ჩვენ ფიქრადაც-კი არ უნდა მოგვივიდეს ავალაჰ მღვიმეში დაბრუნება. მე უკვე ველარასფერს ვხედავ, მაგრამ ისევ-კი მესმის განუწყვეტელი, ძლიერი და ყრუ ხმაურობა. ეს ვირ-თაგვები მოდიან. სჩანს ჩვენ აქ დილაამდის მოგვიხდება დარჩენა.


— რა გაეწყობა, მოვიცადოთ დილაამდის, — გაბედულად მიუგო პატარა ოჯომ: — შენთან მე არც შკივა, არც მეშინიან და შშიერიც არა ვარ.

— დაიძინე, — მიუგო კრეკმა, — მე ვიდარაჯებ.

სანამ ოჯო დაიძინებდა, კრეკი სინანულით იგონებდა ცეცხლსა, მოუთმენელ და გაუმაძღარ ცეცხლს, რომელსაც ცოტაჭეშეში მიაცარა და მიატოვა. იგი ალბად უკვე ჩაქრა, მამათ-მთავარისა ან მამების დაბრუნებამდის.

მარიამ იაშვილი.





ბულ-უბრყვილო ბუზი.

(იგაე-არაკი).



ბზ—ბზ!—ბზუოდა ახალგაზდა, ლამაზი, ლე-
ჩაქივით თხელ-ფრთებიანი ბუზი და დასტრია-
ლებდა ბებერას*) ხელოვნურად გაბმულ ქსელს,
რომელიც საუცხოვოდ ბრწყინავდა მზეზე.

ბუზი გატაცებული იყო ამ სურათით: იასამანის ტოტებ
შუა გახლართული იყო სიგძე-სიგანეზე მრავალი წმინდა ძა-
ფი. ზოგი-კი ვაკიშული იყო ზოლების მზგავსად, რომელნიც
თან-და-თან იზრდებოდნენ, რაც უფრო და უფრო შორდებო-
დნენ ბებერას*) ბუდის შუაგულს. გამოჩნდა ბებერაც, რვა-
თვალია და რვა-ფეხა არსება, რადგან მსხვერპლის თბილი სისხ-
ლის სუნი იგრძნო. ნახა, რომ ბუზი ცნობის-მოყვარეობით
ათვლიერებს მის ბუდეს და პატრონს არა სცნობს; მაშინ
დაიწყა ჩვეულებრივი ვარჯიშობა; გადახტა ერთი ტოტიდან
მეორეზე, ჩამოხტა მიწაზე თავდაღმა, ისევ აცურდა ტოტზე
და ისევ ჩახტა ძირს; თუმცა ფრთები არა ჰქონდა—ამას ყვე-

*) იბობა.



ლა დაინახავდა—მაინც ნელ-ნელა დაეშვა მიწაზე; ინტუნა ქვემო—ზემოდ, მარცხნივ-მარჯვნივ. ყველა ამ შემთხვევაში ძალიან მარჯვედ და სრულიად არაფერიც არ დააშავა. შემდეგ ბებერა შესდგა, თითქოს საქმიანობა მობეზრდაო. ნამდვილად-კი შესწყვიტა ეს თვალთმაქცობა იმიტომ, რომ დარწმუნებული იყო, გულ-უბრყვილო და ცხოვრებაში გამოუცდელი ბუზი ახლა-კი გამოელაპარაკებოდა მას. ასეც მოხდა. სწორედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბებერამ ბუზზე, და ამანაც გაიფიქრა: „თ როგორი მეგობარია საკირო ჩემთვის—ბედნიერი ცხოვრებისათვის,“—გაიფიქრა და გადასწყვიტა კოდეც ღონისძიება ეხმარა და როგორმე დაემეგობრა ყოველად ძლიერი არსება. ბებერას არა სწამს არც სიმღერა, არც ცუდად ყოფნა, პატარა, ლამაზი ბუზი-კი მთელი დღე სიმღერასა ბზუის და ამ სიმღერის წყალობით ეძლევა დავიწყებას. პართლაც, რა არის მისი სიკოცხლე: დაფრინავს დაბლა, თითქმის დედამიწასთან: არ არსებობს მისთვის მაღალი, ყინულებით ლამაზად შემკული მთები გაიფრენს თუ არა პაწია ბელურა მაშინაც-კი თავი უნდა შეაფაროს ფიციბლავხის ფოთოლს, თუ სიკოცხლე სწყურია; თუ ვინიცობაა შემთხვევით შეფრინდება სახლში, აღარ იცის უბედურმა; როგორ დაიხსნას თავი, რადგან ყველგან მის დასაკერად დაუნდობელი ადამიანისაგან „ხაფანგია“ დაგებული, თავშესაფარი ბინა მას არ აბადია; ქურდულად თუ შეიპარება ადამიანის სადგომში, საკოდავად ეკვრის ოთახის კერსა და ძილშიაც-კი ფიქრობს, როგორი დილა გაუთენდება.

— გამარჯობა, მეზობელო!—მოუბრუნდა კრძალვით ბუზი ბებერას.

— გაგიმარჯოს, ახალგაზდავ!— მიუგო დარბაისლოურად ბებერამ.

— უნდა მოგახსენო,—ახლა-კი გაბედვით დაიწყო ბუზმა,—რომ მე ახალი თაობის ბუზი ვარ, ამიტომაც მძულს.

ყველა ძველი ჩვეულება და მიყვარს გულ-ახდილი ლაპარაკი კარგის პირში თქმა, დი ავისაჲ; შენ მე ძალიან მომწონხარ საქმიანობით; სწორედ შენისთანა მეგობარს დავეძებ და, თუ უარს არ მეტყვი და მალირსებ ბედნიერებას, შხათა ვარ გამოვიცხადო მეგობრობა და სიცოცხლეს შევწირო ამ ტკბილ გრძნობას.

— გამადლობ, ჩემო კარგო! ამისთანა გულ-ახდილობა ძვირია ჩვენს ცბიერ დროში, ამიტომაც ვაფასებ ამას შენში და შხათა ვარ მეც ძალ-ღონე შეველიო შენ მეგობრობას.

ამ ურთიერთის ქების შემდეგ ბუზმა და ბებერამ ფიცი დასდეს ამხანაგურად გაიყონ ყველაფერი, რასაც-კი იშოვნიან. საქმის ასეთი დაბოლოვებით კმაყოფილი ბუზი მზიარულად გაფრინდა ბზუილით, ცბიერი ბებერა-კი დაუბრუნდა ჩვეულებრივ საქმეს; თავისი სხეულის უკანა ნაწილიდან იგი სწევდა უწმინდეს ძაფებსა და ვარცხნიდა მარჯვედ საეარცხლებითა, რომლებიც ფეხების ბოლოებზე ჰქონდა გამოზმული.

მალე იშოვა ბუზმა შაქრის ნამცეცი. დილა იყო და ადამიანი ჩაის შეექცეოდა. სწრაფად გაეჩანა მეგობრისაკენ, სადაც მოულოდნელად გაება მის ქსელში; ახლა-კი იგრძნო საცოდავმა ბებერას მტარვალობა, მაგრამ გვიან-ღა იყო: შხამით სავსე ყბებით ბებერამ მწარედ უკბინა ბუზსა და ჯერ ისევ სიცოცხლის მოსურნე სამუდამოდ გამოასალმა წუთი-სოფელს.

დავ. კილოსანიძე.





ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა



ილია ჯავახიშვილი.



სიკვდილით სიკვდილის ღათრგუნვა.

(ილია ჭავჭავაძის ხსოვნას).



ილია ჭავჭავაძე, რომლის ძველი ამას წინად აკურთხეს, ჩვენი ძვირფასი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იყო. თვითვეული ჩვენგანი, თუ სურს გაიგოს ადამიანის დანიშნულება ამ წუთი-სოფელში, უეჭველად გამოჩენილ კაცთა ცხოვრებას უნდა დაუფიქრდეს. ამ მხრივ ილია ჭავჭავაძის ცხოვრება ბევრ რასმეს საგულისხმოს გვასწავლის. ილიამ უმაღლესი სწავლა რუსეთში მიიღო წასული საუკუნის მესამოცე წლებში. იმ დრ.ს რუსეთის საუკეთესო შვილთა გრძნობა-გონება ცოცხლად ამოძრავებული იყო ძველი ღროის ნაშთის, შავ-ბნელ ბატონ-ყმობის მოსასპობად. გლეხი, ადამიანი, ბატონის,—მასავეით ადამიანის, საკუთრებად იყო ცნობილი.

ბატონს კანონი ანიჭებდა უფლებას დაეჩაგრა გლეხი, გაეყიდა იგი თავისი ოჯახობით. ბატონს უფლება ჰქონდა თავისი ყმა—გლეხი სალდათად გაეგზავნა ჯარში, რაიცა სასტიკი დასჯა იყო, რადგან იმ დროს სალდათები სამ-ოთხ წელიწადს კი არ მსახურებდნენ ჯარში, როგორც დღეს არის, არამედ ოც და ოც-და-ხუთ წელიწადს. ბატონს უფლება ჰქონდა გა-

ეწკაპლა თავისი ყმა და ციხეში ეწვალეობინა. ვინ მოსთვლის, რამდენი გზა და საშვალეობა ჰქონდა ბატონს ყოველმხრივ შევიწროებინა თავისი ყმა.

დიდხანს ითმენდა ხალხი ამ შავ-ბნელ დროს. რუსეთის საუკეთესო მწერლები, ევროპის მწერლობაზე აღზრდილნი, იმ ევროპისა, სადაც ბატონ-ყმობა უკვე კარგა ხანია მოსპობილი იყო, აღწერდნენ რუსეთის გლეხობის სამწუხარო მდგომარეობას. მათი გრძნობა და ფიქრი ამ რძიმე უღლიდან ხალხის განთავისუფლებისათვის იღვწოდა. კოცხლად ამოძრავებულ ადამიანის ფიქრსა და გრძნობას უდიდესი ძალა აქვს: იგი ბოლოს და ბოლოს თავისას გაიტანს, რაც სწადია—შეასრულებს. რუსეთის მაგალითი ამას ცხადად გვიმოწმებს. ბატონ-ყმობა დაეცა რუსეთში, შემდეგ—ჩვენში, სამუდამოდ მოისპო, და მისი მოსპობის მიზეზი ქვეყნის საუკეთესო შვილთა სულსა და გულში გაღვიძებული დაჩაგრული მოძმის სიყვარული იყო.

რუსეთის მწერლობისა და ცხოვრების ესპარეზზე კოცხლად მჩქეფარე ამ წმინდა წყაროს დაეწაფა ჩვენი ილია ჭავჭავაძეც და შემდეგ ეს ცხოველი სიყვარული გადმოიტანა თავის სამშობლოში საქართველოში, და მზნე მოღვაწეობასა და მწერლობას შეუდგა. მხოლოდ ამით აიხსნება რომ ილიას საუკეთესო ნაწერები—„გლაზის ნაამბობი“, „ოთარაანთ ქვრივი“ „კაკო ყაჩალი“, და სხვ. დაჩაგრულ ქართველ გლეხის სიყვარულითაა გაშუქებული

როგორც ამომავალი მზე სხვა-და-სხვა ხალხსა და ქვეყანას არ არჩევს და თვალ უწვდენ დეკამიწას თანაბრად მოჰყენს შუქს, ისე ერთ რომელსამე ქვეყანაში გაშუქებული თავისუფლების განთიადი იმ ქვეყნის საზღვარს სცილდება და მთელი კაცობრიობის გზის მანათობელ დიად კანდელად იქცევა.

მუხანათი ტყვიით განგმირული ჩვენი საუკეთესო მოღვაწე და მწერალი ილია ჭავჭავაძე დღეს მამა დავითის მთის კალ-



თაში განისვენებს. იქვე გინისვენებენ ჩვენი ცნობილი, თავგანწირული მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი და რუსეთის საუკეთესო შვილი, მწერალი და მოღვაწე გრიბოედოვი, ისინაც მტრის მუხანათი ტყვიით განგმირულნი.

ნუ თუ ხალხი თავის საყვარელ მწერალ-მოღვაწეებს ჰკლავს, სიკოცხლეს უსპობს? ნუ თუ შესაძლოა ვიწამოთ, რომ კაცთა შორის თავისუფლებისათვის მოღვაწეობა სასიკვდილო ღვაწლია. რომ მხურვალე სიყვარულის საბოლოო ჯილდო უღმობელი, ცივი ტყვიაა.

ზოცა ღრმად დაუკვირდებით ამ შავ ბნელ მოვლენას, ნათლად დავრწმუნდებით, რომ ეს ასე არ არის.

ქავჭავაძის, ყიფიანის და გრიბოედოვის სიკვდილზე ბევრად უფრო საშიშარი, ზარ-დამცემი მათ მკვლელთა შავ-ბნელი ფიქრი და გრძნობაა. იგი ნათლად მოწმობს, რომ ამ უბედურ ადამიანთა გულს არ ათბობდა არცერთი სხივი იმ ცხოველი გრძნობისა, რომელიც მათ მსხვერპლთა სიკოცხლეს აშუქებდა. ამ მხრივ მოწინავე მოღვაწეთა სიკვდილიც, როგორც მთელი მათი სიკოცხლე, ხალხის უბედურ მდგომარეობაზე ფიქრის წყაროა, ხალხის უვიცობის, ამ სულიერი სიკვდილის დამთრგუნველია.

რაც უნდა საზარელი იყოს მკვლელობა, რაც უნდა ზარ-დამცემი იყოს ძმისაგან ძმის დაჩაგვრა, იგი ბოლოს-და-ბოლოს, უკუნეთ ღამესავით, სინათლეს მოგვაწყურებს, იგი მხოლოდ ამტკიცებს, რომ ჩვენ არ შეგვაქვს დაჩაგრულ ხალხში, ის სინათლე, რომელიც მოკლულ მოღვაწეთა სიკოცხლეს აშუქებდა.

გრიბოედოვის ძეგლს იმისმა მეუღლემ, ქართველმა ქალმა, პოეტის ალექსანდრე ქავჭავაძის ასულმა, შემდეგი შესანიშნავი სიტყვები წააწერა: „შენი ფიქრი და ღვაწლი უკვდავია რუსეთის ხალხის გულში, მაგრამ რად დარჩა ობლად ჩემ გულში მჩქეფარი სიყვარულიო?“

კავკაზიის ძველზე ამ ღრმა-ნაღვლიანი შეკითხვის პასუხი უნდა წაგვეწერა: „მოწინავე მოღვაწენი იმიტომ გვტოვებენ ამ წუთი-სოფელში, რომ მათი ძვირფასი საქმე განვაგრძოთ, მათ ნაწერებში მჩქეფარი უკვდავი გრძნობა დაჩაგრულ ხალხს ვრცლად მოვფინოთ.“

ილია ნაკაშიძე.





ტერმიტების ქალაქი.



ტერმიტები.



ტერმიტები ერთნაირი ჯიშის ქიანქველე-
ბია, აფრიკაში ცხოვრობენ. ჩვენებურ
ქიანქველეებს ისინი ძალიან ჰგვანან, მა-
გრამ მუშაობით და ცხოვრებით უფრო
ფუტკრებს ემზგავსებიან და სიმარჯვით
კიდევ სჯობნიან. ტერმიტები ცალ-ცალ-
კე საზოგადოებებად ცხოვრობენ: თითო-

ეული საზოგადოება სამ ოჯახად იყოფა; არც ერთი ამ ოჯახთა-
განი მეორეს არ ჰგავს. პირველ ოჯახს შეადგენენ მუშა-ქიან-
ქველები, რომელთა შორის არიან ნამდვილი ინჯინერები და
ხუროთ-მოძღვრები. ამათ გაჰყავთ ათასგვარი ხერცელები მიწა-
ში, სადაც სურსათსა და საშენებელ მასალას ინახავენ. ამ მი-
წის ქვეშ გამართულ ბუდეს ტერმიტები თავზე ადგამენ მაღალ
წვეტიან შენობებს.

მეორე ოჯახს შეადგენენ ჯარის კაცები. ამათგან აქეთ რქის იარაღი მტრის საჩხვლეტად, რომლითაც ისე სარგებლობენ, როგორც ადამიანი ხმლით. ტერმიტი—ჯარის კაცის თავი თითქმის მთელი ტანის ნახევარს შეადგენს. ბუდეში ძვირად არიან: მუდამ ბუდის ახლოს დაცოცავენ და მუშა—ტერმიტებს მტრებისგან იფარავენ. მესამე ოჯახს შეადგენენ კეთილშობილები—მეფეები და დედოფლები. ყველა ესენი ფრთიანები არიან. მათ შორის ირჩევენ დედა და მამა ტერმიტებს; ამათ მალე დასცივიათ ხოლმე ფრთები და სამუდამოდ რჩებიან ბუდეში; ზოგჯერ სხვაგან მიფრინავენ და აარსებენ ახალშენს. დედა ტერმიტი, დედა ფუტკარივით, შობს მთელ ახალთაობას.

ტერმიტები მუდამ მუშაობაში არიან. საოცარი სანახაობაა მათი შრომა—ფუსფუსი. მეცნიერი მატეტი, რომელიც მდინარე ნიგერის ნაპირზე ტერმიტების შენობებს წააწყდა, შემდეგ მოგვითხრობს მათ შესახებ:

მგზავრობის დროს წავაწყდი რაღაც უცნაურ, ხელოვნურად ნაკეთებ შენობებს, რომლებიც 140 არშინის სივრცეზე იყვნენ გაფანტული სწორ ადგილზე. ყველა ამ შენობებს სხვა-და-სხვა სიდიდე და ფორმა ჰქონდა; ყველა შაქრის თავებივით წვეტიანები იყო. აფრიკის მხურვალე მზის სხივებს ცეცხლის ფრად შეეღება ეს შენობები და მთელი ეს მიდამო ფანტასტიურ სასაფლაოს ემზავსებოდა. ცოტა არ იყოს შეეფიქრიანდი და გულის-კანკალით მიეუახლოვდი ამ საიდუმლოებით მოკულ ადგილს. პირველი შენობა, რომელსაც მიუახლოვდი, მეტად ხელოვნურად ნაკეთებ დიდ ზარს ემზავსებოდა და, სიმაღლით საეენზე მეტი იქნებოდა, მისი სიპრგვლე-კი ძირში ოთხ საეენსაც აღემატებოდა. ეს შენობა მეტად მტკიცე ჩანდა. ყოველ მხრით დახურული, წვეტიანი, მზეში მოელვარე მასალით იყო ნაშენი. სხვა შენობებიც ამ ზარსა ჰგავდა, მასავით დიდი იყო. მაშინ-კი მიხვდი, რომ ტერმიტების სატახტო ქალაქს ვხედავდი.

სახლში რომ დავბრუნდი, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მითხრეს, ეს შენობები უხსოვარ დროიდან არის და წინადად არის მიჩნეული, რადგანაც მასზე ვერც კუდი ამინდი და ვერც დრო მოქმედობსო. მთვარიან ღამეში ეს შენობები მოჩვენებები ჰგონიათ და მათი ძალიან ეშინიათ, — ცდილობენ შორს მოუარონ ამ შენობებს და კრუ-მორწმუნეობის შიშით უყურებენ.

ტერმიტების შენობები ერთობ მკვიდრად ნაშენია. არ ჩატყდება, თუნდაც რამდენიმე კაცი შედგეს ზედ. ხან-და-ხან გარეული ხარი შედგება ხოლმე ზედ და იქიდან ათვალეირებს ლომი ან ვეფხვი ხომ არსად ჩასაფრებია თავის მსხვერპლსაო. ასეთი სიმძიმის ქვეშ ტერმიტების შენობა ოდნავაც არ იზნიკება. მისი კედლები ქვასავით მაგარია, ერთი არშინის სისქე აქვს.

ამ უზარმაზარი შენობის ამგები ტერმიტები პატარა მწერები არიან, მოყვითალო ან თეთრი მუცელი აქვთ და ჩვენებურ ჭიანჭველასავით, გრძელ-ტანიანები არიან. ადამიანი რომ თავის სხეულითან შედარებით ასეთ უზარმაზარ შენობებს იკეთებდეს, მაშინ თვითველი ჩვენი სახლი მთელ გუბერნიის სივრცეზე უნდა იყოს გაკომული და მისი სახურავი ღრუბლებში უნდა იყოს ამართული.

თვითველი შენობა ზარს წაავავს. გუმბათის ქვეშ დატოვებულია დიდი ცარიელი ადგილი, სადაც იკრიბება მზის სხივების სითბო და აქედან ერთგვარი მიღების შემწევობით ვრცელდება მთელ შენობაში. როგორც სჩანს, ტერმიტებსაც ჰქონიათ თავისებური ცენტრალური თბობა. გუმბათის ქვეშ არის დიდი დარბაზი, სადაც ტერმიტების კრებები იმართება, მის ქვემოთ-კი, სულ ქვედა სართულში დაბალი, თალიანი საწოლი ოთახია დედა — ტერმიტისა. ამ სამი დიდი ოთახის გარშემო ჩამწყკრივებულია პატარ-პატარა სარკმელები და მაღაზიები, სადაც მოთავსებულია ერთგვარი ფხვნილი და წებოიანი



სითხე, რომელიც კოტათი ცემენტს წააგავს. აი ამ მრავალფეროვან რეზინთან აკეთებენ ტერმიტები თავის შენობებს.

დედა - ტერმიტი და მისი მეუღლე მთელი ახალშენის მეფე-დედოფალია. ისინი მოთავსებული არიან დაბალ თალიან შენობაში, რომელიც საუკუნო სატუსალოს წარმოადგენს; ეს-კია, რომ მათ დიდი პატივისცემით ეპყრობიან ყველანი: გარს ახვევიან ათასობით მუშები, ემსახურებიან, ასაზრდოვებენ, ეზიდებიან განსაკუთრებულ შენობებში მათ კვერცხებს, საიდანაც შემდეგში იზადებიან მატლები; ესენი აკეთებენ პარკებს; იქიდან გამოდიან კეთილშობილი ან ფრთიანი ტერმიტები. ზოგიერთ ტერმიტებს ფრთები არ მოეზღებათ; ისინი ჯარის კაცებად ან მუშებად იქცევიან. დედა—ტერმიტს ამკობს გაბღენძილი მუცელი, იმ სიდიდე, რომ მისი პატრონი ვერც ერთ კარებში ვერ გაეტევა და იძულებულია მთელი თავისი სიცოცხლე თავის საკანში დალიოს. ვერც ერთი ტერმიტი იმას ზურგს ვერ უჩვენებს: ისინი პირ-მობრუნებულად შედი-გამოდიან მის სენაკში.



ტერმიტების ბინა შიგნით.

ტერმიტებში მხოლოდ ჯარის კაცები არიან შეიარაღებულნი; დანარჩენები უმწეონი არიან, მუდამ იმალებიან და ფარულად მოქმედობენ. თავისი ბინიდან გარედ მხოლოდ მაშინ გამოცოცდებიან ხოლმე, როდესაც საკვები აღარა ჰყოფნით. დამწეულნი, ისინი სწრაფად მოედებიან მიდამოს და საშინლად აოხრებენ ყველაფერს.

შემამძრუნებელია მათი თარეში. ადგილობრივ მცხოვრებლებს საშინლად სძულთ ტერმიტები და ძალიანაც ეში-

ნიათ მათი. მოდი და ნუ შეგეშინდება: ერთი უფეხო გი, რომელიც ხის ფეხს ატარებდა, ჩამოხტა ღამის გასათევად ტერმიტების შენობებთან. დილას რომ გამოიღვიძა, სახტად დარჩა: შისი ხის ფეხი აღარსად იყო, — ის ერთიანად დაეხრათ ღამით ტერმიტებს და ბურბუშელად და ნახერხად ექციათ. მათ ყბებს არაფერი გადურჩებათ: ისე დახრავენ სახლის კედლებს და ბოძებს, რომ მთელი სახლი უბრალო ნიავს ვეღარ უძლებს და ინგრევა. შეიპარებიან ხოლმე სახლში და ერთი ღამის განმავლობაში ისე დახრავენ მთელ ავეჯეულობას, რომ დილით გაღვიძებულ მცხოვრებლებს ერთი დასაჯდომი სკამიც აღარ მოეპოვებათ. ადამიანის ბინას ხშირად ესტუმრებიან ხოლმე და ერთნაირი ხალისით ანადგურებენ წიგნებს, ტყავს და საცვლებს. საკვირველი ის არის, რომ ასეთი განადგურების შემდეგ თითონ მოთარეშეებს ძნელად თუ ნახავს ვინმე. ისინი მთელი საზოგადოებებით ნავარდობენ, საშინელი სისწრაფით აობრებენ ყველაფერს, რაც შეხვდებათ და ისეთი მოხერხებით გაჰქრებიან თვალსა და ხელს შუა, თითქო უჩინარნი იყვნენ. შეცოცდებიან სახლში და ერთ საათში სრულიად დაღრღნიან ყველა მაგიდებს, სკამებს და განჯინებს. ერთი ღამის განმავლობაში ტერმიტებმა დაღრღნეს მაგიდის ფეხი ძირიდან, გახვრიტეს თითონ მაგიდაც, შეძვრნენ მაგიდაზე დადებულ ჩემოდანში, ვაანადგურეს ჩაკეტილი წიგნები, წალები და საცვლები; ამის შემდეგ გახვრიტეს მაგიდის მეორე ფეხი ზევიდან, ჩაძვრნენ იატაკში და არხეინად გაუღვნენ გზას. ისეც მოხდება ხოლმე, რომ ტერმიტები დაღრღნიან მთელ სახლს და ამის შემდეგ ფუტურო ადგილებს ავსებენ იმ წებოიანი ნივთიერებით, რომლითაც თავის შენობებს აკეთებენ, — მაშინ ეს დაღრღნილი ხის სახლი ქვის სახლივით მკვიდრი ხდება.

ამას ბევრი ზანგი მიხუდა და თავისი მხრით დაიწყეს თარეში ტერმიტების შენობებში. ისინი ანგრევენ ტერმიტების



შენობებს, მოაქვთ იქიდან ფხვნილი და წებოიანი ნივთიერება და ამითი აშენებენ თავის ქოხებს. ზანგებს ევროპიელებიც არ ჩამოუვარდებიან. ისინიც ანგრევენ ტერმიტების შენობებს, მოაქვთ ეს მასალა და მით ორ-სართულიან სახლებს აშენებენ. ეს სახლები მეტად თბილი და მშრალია. რა თქმა უნდა, ტერმიტები უბრძოლველად არ უთმობენ ადამიანს თავის ნაშრომ-ნაღვაწს.

ჯარის კაცებს მარტო შენობის დაცვა აქვთ დავალებული. აი რას ამბობს ამის შესახებ ლ. ფიგიე: „თავდასხმის დროს, როგორც-კი პირველი წერაქვი გაიხმაურებს შენობაზე, ვააფთრებული ჯარის კაცები გამოვარდებიან გარედ, ეცემიან კაცს და აძგერებენ თავის ბასრ იარაღს. ჩააფრინდებიან ადამიანის სხეულს და არაფრის გულისთვის აღარ მოშორდებიან; კაცმა უნდა გაქულიტოს ტერმიტი, უამისოდ მისი მოშორება შეუძლებელია. ამიტომაც არის, რომ ტიტველი ზანგები მალე მოჰკურცხლავენ ხოლმე. ევროპიელიც მხოლოდ მაშინ იბრუნებს პირს, როცა მთელი მისი შარვალი სისხლის ლაქებით მოიფინება!


მტრის მოგერების შემდეგ ჯარის კაცები მიწაზე უკაკუნებენ. ამ კაკუნზე მათ ოდნავი სტვენით პასუხს აძლევენ მუშა ტერმიტები მიწის ქვეშიდან. ჯარის კაცები იმეორებენ თავის კაკუნს და მაშინ-კი გარედ გამოდიან მუშა ტერმიტები და შენობის შეკეთებას იწყებენ. იმ წამსვე აგორგოლებენ ფხვიერ სითხისაგან პაწაწა ბურთებს და აესებენ მითი ფარლალა ადგილებს. რამდენიმე ჯარის კაცი მუშების მცველად რჩება, სხვები-კი შიგნით შედიან. მცველები ხშირად გამოეხმაურებიან მუშებს თავისი კაკუნით, რაზედაც მუშები სტვენით უპასუხებენ, თითქო ამით უნდა გული დააჯერონ, რომ საფრთხე არსაიდან მოვლით. თუ მყუდროება კვლავ დაირღვა და ადამიანი ხელმეორედ ეწვიათ, მაშინ ყველა ტერმიტი გამოსავალ კარებს ეცემა და გადაგლეხავს ხოლმე;

ჯარის კაცები-კი გაორკეცებული სიმძაფრით სჩქმეტენ და ჰკანწრავენ თავდამსხმელთ ფეხებში. გარეთა კარების დაგლესვის შემდეგ ტერმიტები შიგნით მიაწყდებიან და დედა ტერმიტის საკანს ყოველ მხრიდან გადალესავენ. რასაკვირველია, ხშირად ეს შრომაც მუქთად ჩაუვლის ტერმიტებს: ჯარის კაცების კბენას არ ებუება კაცი, ნაკუწ-ნაკუწად აქცევს ტერმიტების მთელ შენობას და მიაქვს თავისი სახლის ასაშენებლად. ამ დროს ტერმიტები უწინდებური თავგამოდებით განაგრძობენ მუშაობას, რადგანაც ისინი ბრძმები არიან და თავზე დატეხილ უბედურებას ვერა ჰხედავენ.

ამ თავდასხმის დროს თუ დედა ტერმიტი დაიღუპა, ყველა ტერმიტები უმწფოდ რჩებიან, დაცალცალკეცვებულნი გაიბნევიან და ფრინველების ან წვრილი ცხოველების ლუკმად ხდებიან. ზანგებიც არ იწყებენ მათ საქმელად; ტერმიტების გაბნევის დროს ისინი სთხრიან თხრილებს, ავსებენ მათ წყლით და ხელით იჭერენ შიგ ჩაკვივულ ტერმიტებს. ყავასავით ხალავენ ტაფაზე და მზე-უქვრეტასავით აქნატუნებენ, ან ფქვილში ურევენ და ამ კომისგან ხაქვაპურებს აცობენ.

ზანგები ტერმიტების მოშენებას მისდევენ: სახლში მოჰყავთ დედა ტერმიტი და თავზე დაამზობენ ხოლმე დიდ თიხის ქოთანს. მუშა ტერმიტები მაშინვე შეუდგებიან საქმეს და დედა ტერმიტის თავზე თაღს აკეთებენ. დედოფლის დაბინავების შემდეგ ისინი იწყებენ ახალი ბინის აგებას; დედა ტერმიტი სდებს კვერცხებს და ცხოვრება ჩაღდება. ზანგი მათ აშორებს თავის ქოთანს და მის ეზოში მალე შენდება მთელი პირამიდა ტერმიტების ბინისა, რომელიც ივსება ტერმიტების ახალთაობით. ამ ბინის გარშემო ზანგი თხრილს აკეთებს, ავსებს წყლით და ამის შემდეგ წერაქვით ანგრევს ტერმიტების ახალ შენობას. ტერმიტები გარბიან, ვარდებიან თხრილში, სადაც მათ ზანგი იჭერს, ხრაკავს ტაფაზე და შეექცევა. ასეთი ამბავი წელიწადში რამდენჯერმე განმეორდება ხოლმე.

მინ. ტოროშელიძე.





საქართველო.

ჩემნანი და ჩვეულებანი.

(დასასრული).



სებს, ჩერქებებს, სუანებს, ფშაველებს, თუშებს სწამთ, რომ მკედართა სულეები იფარავენ მათ ფათერაკისა და უბედურებათაგან, სულეები უხილავად იღებენ მონაწილებას მათ მოგვარეთა ომ-ბრძო-

ლაში, ზრუნავენ, რომ კოცხალ მოგვარებებს სანაღვლეელი არა ჰქონდეთ-რა ხელმოკლეობისაგან, ეწევიან მათ.

მაგრამ თუ მკედრებს კოცხლებმა დააკლს მათ სასარგებლო ვალდებულებანი, მაშინ წინაპართ სულეები დაუძინებელ მტრებად ევლინებიან: შთამომავლობას უვლენენ ავადმყოფობას, უბედობას საქმეში და ყოველგვარ გასაკირსა. შთამომავალი განარისხებს მათ არა თუ მარტო შესაწირავ—საკურთხის დაკლებით, არამედ თუ სისხლი არ აართო კაცს, რომელმაც ისინი მოჰკლა. აქედან წარმოსდგა სისხლის აღების მოვალეობა, მისი არათუ სახორციელო, არამედ რელიგიური დანიშნულებაც, აქედანვე დაიბადა წესი მტრის მოკვლისა ზედ მოკლულის საფლავზე. მახლობელ დროს ყაბარდოელნი, ჩერქესნი და ჩაჩნები მკვლელის მოკვლის მაგიერ კმაყოფილდებოდნენ მით, რომ მკვლელს სჭრიდნენ ყურს და ამ ყურს მარხავდნენ მოკლულის სამარეში. ჯავრის ამოყრაზე, როგორც სავალდებულო მოთხოვნილებაზე გვითითებს მიცვალებულე-



ბისტვის უწყება, რომ მტერს მიეგო სასჯელი. ოსი, მისი ღებს-რა ნათესავის სისხლს, მიღის მის საფლავზე, პირს აღებს სამარეს და ჩასძახის: „დაშვილდი, ვადუხადე შენს მკვლელსო.“

ამგვარსავე რწმენაზეა დაფუძნებული ჩვენებური ჩვეულება მკვდართათვის საფლავში რაიმე სასიხარულოს ჩაძახებისა. საგულისხმოა 1124 წელს მომხდარი შემთხვევა. ამ წელს დევით აღმაშენებელმა ანისი აიღო: მეჩითად გადაკეთებული ტაძარი, საცა ემარხა დედოფალი კატრანიდა, ვანაახლა. აკურთხებინა კათალიკოზ-პატრიარქ-ეპისკოპოსებს, მივიდა კატრანიდას სამარესთან და ჩასძახა: „გიხაროდენ, დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმან ეკლესია შენი აგარიანთაგან.“ — „მადლობა ღმერთსა!“ — მოისმია ხმა საფლავიდან, ამბობს მემატიანე (ვახუშტი, 183). რაღა თქმა უნდა, მკვდარი ვერ დაელაპარაკებოდა მეფეს, მაგრამ რახან სწამდათ მკვდართა სულების სიციცხლე, მემატიანემაც აღნიშნა საფლავიდან ამოიძახება.

კერას სიწმინდე.

კერას თაყვანისცემა მეტად გავრცელებულია კავკასიაში. წინაპართა სულნი, რომელნიც უხილავად დასტრიალებენ, საღმრთო მნიშვნელობას ანიჭებენ მას. კერასაგან დიდი მნიშვნელობა ეძლევა აგრედვე ქვაბს, მის ცეცხლზე ჩამოსაკიდებელ ჯაჭვს. ფშაველი დიასახლისი საჭმლის მომზადების დროს აგდებს ცეცხლში მცირე კერძს და იძახის: „თქვენ გეკუთვნოდეთ, ჩვენო მკვდრებო, ჩვენ მიერ შემზადებული შეწირულება. უწილადეთ მათაც, რომელნიც ჩვენგან მოელიან ტაბლას. მაგრამ ჩვენ იგინი დღეს აღარ გვახსოვან.“ ამავე საფუძველით საქართველოს, ჩერქეზეთს და სხ. პატარძალს შემოატარებენ ხოლმე კერას გარშემო. ეს იმას ნიშნავს, რომ პატარძალი

ამბობს: ვუერთდები შინაურ ღმერთების კულტს იმ ოჯახისას, რომლის წევრად ქორწინებამ გამხადაო.

პატარძალი რომ მიჰყავთ სასიძოსას, ქალის დედა ასე წუწუნებს:

ვაი დედოფლის დედასო,
 თავნი ურბენენ კერასო!
 ნეტავი ნეფის დედასო,
 ვარდნი უსხედან კერასო!

მაშასადამე, ქალის წაყვანით ერთ ოჯახს აკლდება, მეორეს ემატება.

ამგვარადვე ყოველი უცხო, რომელიც შემოსდგამს სახლში ფეხს და კერას მიუახლოვდება, ითვლება ოჯახის დროებით წევრად და მას, თუნდაც მოსისხლე მტერი იყოს, ვიდრე სახლიდან არ გავა, ვერავინ ხელს ვერ ახლებს: იგი მაშინ „ღეთის კაცია,“ „ღეთის სტუმარი.“

კერას ძლიერება იქამდე უწევს, რომ საკმაოა მასზე შემზადებულ საკმელში ორმა უცხო კაცმა ჩაჰყარონ ვერცხლის ნატვრევი ანუ წვრილი ფული და ერთ და იმავე ჯამით შექამონ ეს საკმელი, რომ განუყრელ ძმებად იქცნენ.

თვით ოჯახის ერთობა, გაუყოფლობა გამოწვეული იყო იმავე წინაპართა სულების სასარგებლოდ შეწირვების მოუსპობელობის მიზეზით. ვიდრე ოჯახი დიდია, შიში არ არის, მკვდარზე არ მოაკლდებათ შეწირვები და იგინი მოწყალოდ მოეკიდებიან კოცხლებს; ხოლო ოჯახის დაქუცმაცებისა გამო ადვილად დავიწყებულ იქმნება ესა თუ ის სული. და იგი მოუვლენს მათ თვის რისხვას, ანუ დაეპატრონება იმ ადგილს, რომელიც უმემკვიდრეობის გამო გადაშენდა, გაპარტახდა. იგი ამ ადგილისთვის ბოროტ სულად ხდება. ამით აიხ-

მანება ის მოვლენა, რომ ვიტყვით ხოლმე: „უპატრონო დასს ეშმაკი უპატრონდებაო.“

კერას თაყვანის ცემამ გამოიწვია თვით ოჯახის უფროსის თაყვანის-ცემაც. ასე წარმოსდგა მამასახლისობა, ასე დაწესდა თაყვანის-ცემა მათ საფლავებისა. ქართველების უდიდესი თაყვანის-საცემელი, როგორც იუწყება მემპტიანე, იყო საფლავე ქართლოსისა.

დიასახლისის ხანა.

მამასახლისურ ხანას წინ უძღვოდა ხანა დიასახლისური. მაშინ უმთავრეს მოსაქმედ ითვლებოდა დედათ სქესი და მამაკაცობა მოსაქმეობდა მხოლოდ ქალების ხელმძღვანელობითა და ვარიგებითა.

დიასახლისურ დროის ნაშთად დარჩენილა ჩვენს ენაში სიტყვები: დედა-მამა, და-ძმა, დედალ-მამალი, დედა-წული, დედა-ბოძი, დედა-ქალაქი, დედა-ძარღვი, დედულ-მამული, ცოლ-ქმარი, ცოლ-შვილი, ქალ-ვაჟი და სხვ.

აქ ყველგან დედათ სქესის უპირატესობა სჩანს, ნაშთი იმ დიასახლისურ (მატრიარქალურ) დროისა, როდესაც შვილებმა არც კი იცოდნენ, ვინ, სახელდობრ, იყო მათი მამა და დედის სახელზე იწერებოდნენ, იმ დროისა, როდესაც ცოფილა ამირანი ანუ მშეკაბუკი, იხსენიებოდა დარეჯანის, ქეთევანის, თუ ხვარამზეს შვილად და არავინ დაეძებდა, თუ ვინ იყო ან რა ერქვა ან ერთის და ან მეორ-მესამის მამას. საგულისხმოა ამ მხრივ გადმოცემა, ამირანმა და მისმა ძმებმა თუ თავიანთი დედა როგორ გამოსტეხეს, — ძუძუზე კბილის მოჭერით, — გაემხილა მათთვის სახელი მათი მამისა.

თვით ჩვენებური სიტყვა „თხოვება“ ცხადად გვაგონებს იმ დრო-ჟამს, როდესაც ქალის „ვათხოვება“ მეუღლეობა



დროებითი იყო, სწორედ ასეთი, როგორც იკოდნენ ამჟამინდელი
 ნის დამკირებელ კოლხიდაში მცხოვრებმა მეომარმა ქალებმა
 (ეს- ბილი, 525—456 წ. ქრ. წ.), იმ ამაზონებმა, რომელთაც
 კავკასიის არე-მარეზე ჰქონდათ საკუთარი „ქალთა საშეფო“
 და რომელნიც მამაკაცებს დროებით შემოირევენ ხოლმე
 შთამომავლობის გასაგრძობად.

მ. ჯანაშვილი.





ბრძოლის ომი.

ჰექტორის სასიკვდილოდ დაჭრა.



როადელების რაზმები ყველანი უვნებლად შევიდნენ ქალაქში და იქვე მახლობლად დაბანაკდნენ. ქალაქის მიუვალ და მაღალ ზღუდეთა გარეშე დარჩა მხოლოდ ერთად-ერთი ჰექტორი, რომელსაც ქალაქში შემოსვლა და

მრისხანე მტრისაგან თავის დაცვა ფიქრადაც არ მოსდიოდა.

ძლევა-მოსილი აქილევსი, ჩამოშორდა რა აპოლონ ღმერთს, დაუყოვნებლივ ილიონის ზღუდეებს მიაშურა. ელლინთა გმირთა-გმირის დანახვაზე მოხუც მეფე პრიამოსს უსაზღვრო სევდა მოაწვა გულზე. მოხუცი მეფე გრძნობდა, რომ ბრძოლის ველზე რაღაც საშინელება უნდა დატრიალებულიყო. ილიონის მაღალ ზღუდეზე მჯდომი მოხუცი მეფე ვერხვის ფოთოლივით ცახცახებდა და თვალთაგან ცრემლების ნაკადული გადმოსჩქეფდა. საბრალო მოხუცმა ხელები მაღლა აღაპყრო და თავის საყვარელ შვილს ჰექტორს ესეთი სიტყვებით მიმართა: „საყვარელო ჰექტორ! ვთხოვ, გემუდარები, დესტოვე ბრძოლის ველი და შემოდი ქალაქში, თორემ საცაა მოგასწრებს აქილევსი და უთუოდ სიცოცხლეს გამოგა-



საღმებს! ნუ დაგაიწყდება, ჩემო საყვარელო შეილო, ელლინთა გმირი შენზე ძლიერია! ღმერთებს რომ აქილევსი ისე უყვარდეს, როგორც მე იგი მიყვარს, აქამომდე ჩვენი მოსისხლე მტერი ძაღლების ლუკმად გახდებოდა, გაუმაძღარი ძაღლები აქამომდე ნაკუწ-ნაკუწად აქცევდნენ და ჩემი გული სამუდამოდ დაშვიდდებოდა; მე შენი დარდი ასე რიგად არ მექნებოდა! ახლა, როცა იგი ცოცხალია და ბრძოლის ველზე მძვინვარებს, გული მწუხარებით მეფსება და ყოველ წამს საშინელ უბედურებას მოველო! განა შენ თვითონ კარგად არ იცი, ჩვენმა დაუძინებელმა მოსისხლე მტერმა რამდენი მამაცი შეილი გამოშისაღმა სიცოცხლეს, რამდენი კიდევ გაჰყიდა შორეულ კუნძულებზე! ვინ ჩამოსთვლის ყველა იმ უბედურებას, რომელიც აქილევსმა თავს დაგვატება! ჩემო საყვარელო შეილო, შემოდი ქალაქში, თავი უვნებლად დააღწიე მოსისხლე მტერს! შენი თანამოქალაქენი მოუთმენლად მოგელიან! მაშ, დაუყოვნებლივ შემოდი ქალაქში და დახმარება აღმოუჩინე ილიონის ქალებსა და ვაჟებს! შეიბრაღე, საყვარელო შეილო, შენი საკოდავი მოხუცი მამა! განა ადვილია მშობელმა გულგრილად უცქიროს თავისი შვილების ასე უდროოდ დაღუპვას! განა მოხუცი მამის გული აიტანს, როცა მოსისხლე მტერი ყველაფერს ანადგურებს, მიწასთან ასწორებს! ჩემ თვალ წინ ჩემი საყვარელი ქალი-შვილები და რძლები ტყვედ მიჰყავთ, უღანაშაულო ბაღლებს სიცოცხლეს უსპობენ და მეი თვალცრემლიანი უნდა შევსტკეროდე ამ საზარელ სურათს! მოსისხლე მტერი ამასაც არ მაქარებს! როცა ყველა ტროადელს სიცოცხლეს მოუსპობენ, მეც სიცოცხლეს გამოშისაღმებენ და ჩემივე ძაღლების ლუკმად გამზდიან! ამიტომ გვევდრები, შეიბრაღე მოხუცი მამა, მოსისხლე მტერს თავი მოარიდე და დაუყოვნებლივ ქალაქში შემოდი!”

ასე ემუდარებოდა მოხუცი მამა თავის საყვარელ შეილს და თეთრ თმას თავიდან სიმწარით იგლეჯდა.

პრიამოსის შემდეგ საბრალო თვალცრემლიანმა დედამაც ასე მიმართა თავის საყვარელ შვილს ჰექტორს: „ჰექტორ! შეიბრალებ შენი საცოდავი მოხუცი დედა! შენ გენაცვალოს დედა შენის ძუძუები, რომელმაც დედის ტკბილი რძე ჩაგაწოვა! თუ ცოტათი მძინე ჩემი საყვარული გაქვს, თავი მოაშორე მოსისხლე მტერს და ქალაქში შემოდი! განა თვით ქალაქში არ შეიძლება მტერს მდგრად გაუმაგრდე. შეილო! ვახსოვდეს, რომ აქილევსი შენზე უფრო ძლიერია ძალღონით და ბრძოლის ველზე მარტოდ მარტო დარჩენილს რაღაც საზინელ უბედურებას შეგამთხვევს! შეუბრალებელი აქილევსი უთუოდ სიცოცხლეს გამომასალმებს და მტრის გულისა გაგვბნის! შენ უსულო გეაშს, ცოლისა და შშობლების დაუტირებლად, შეუბრალებელი პელეასის ვაჟის შვილი მირმიდონიანთ ძაღლების ლუკმად გახდის.

აი, შეილო, ამიტომ გემუდარები, პატივი ეცი დედა შენის თვალცრემლიან თხოვნას და დაუყოვნებლივ ქალაქში შემოდი! საცაა შეუბრალებელი აქილევსი მოგისწრობს და შენ, ჩვენ ერთად-ერთ იმედს, ილიონის ქალთა და ვაჟთა დამცველს, სიცოცხლეს მოგისპობს! ნუ გაამწარებ, ჩემო საყვარელო შვილო, დედა შენის ძუძუებს ამ მოხუცებულობის დროს!“

ძღვეა-მოსილი ჰექტორი დიდად ჩააფიქრა საყვარელი შშობლების მწარე სიტყვებმა, მაგრამ თავისი გადაწყვეტილება მაინც არ შესცვალა. ტროადელების მხედრობის მთავარ-სარდალი ქალაქის ციხის მახლობლად იდგა და თავის მოსისხლე მტერს აქილევსს მოუთმენლად მოელოდა.

ელლინთა მხედრობის გმირთა გმირიც გამოჩნდა ამ დროს და ისრით ხელში ჰექტორისაკენ გაემართა. აქილევსის მთელი სამხედრო იარაღი მზესავით ბრჭყეინაედა. ჰექტორმა, დაინახა თუ არა მისკენ მიმავალი აქილევსი, შეკრთა და ფეხ-აკრფით უკან გაიქცა. აქილევსი კვალ-და-კვალ გამოუდგა უაუქცეულ ტროადელ გმირს. ელლინთა გმირი ცდილობდა

ჰექტორი ქალაქის ზღუდეების მახლობლად არ გაეტარებინა, რადგანაც ზღუდეებზე ამართულ ციხეებიდან ტროადელები ჰექტორს დახმარებას აღმოუჩენდნენ და ამნაირად გმირთა გმირი აქილეესი თავის საწადელს დროზე ვერ შიალწევდა.

ელეის სისწადით გაურბოდა ძღვევა-მოსილი ჰექტორი ლომივით გაათრებულ აქილეესს.

სამჯერ შემოუბრინეს ირგვლივ ქალაქის ზღუდეებს ორთავე გმირმა. აქილეესი ისე მისდევდა უკუქცეულ ჰექტორს, ასე გეგონებოდათ დაგეშოილ ძაღლსა მინდერებში ფეხშალი ირემი წინ გაუვდია და საცაა დაქერას უპირებსო.

ყოვლად-შემძღვებელი ზევსი ოლიმპოსის მწვერვალოდან თავს დასცქეროდა ბრძოლის ველს. ზევსმა ხელში აიღო ოქროს სასწორი და წილი ჰყარა, ვინ ვის სძლევდა, აქილეესი ჰექტორს, თუ ჰექტორი აქილეესს. ოლიმპოსის შბრძანებელმა სასწორის ერთ მხარეს დასდო აქილეესის სასიკვდილო წილი, ხოლო მეორე მხარეს—ჰექტორის სასიკვდილო ზვედრი. შემდეგ ზევსმა ხელი მოჰკიდა სასწორს შუა ადგილას და ასწია. სასწორის ის ნაწილი, რომელზედაც ჰექტორის წილი იდგა, ძირს დაეშვა, ხოლო აქილეესისა კი ზემოდ აიწია.

ჰექტორის მფარველი აპოლონ ღმერთი ჩამოშორდა ამის შემდეგ ტროადელ გმირს და სიკვდილიც მოუახლოვდა ტროადელების მხედრობის მთავარ-სარდალს.

ათინა ქალ-ღმერთამ დაინახა, რომ ჰექტორის წილი სასწორზე ძირს დაეშვა, სიხარულის კიენა დაჰკრა, დაუყოვნებლივ თავის მფარველობის ქვეშ მყოფ გმირისაკენ გაეშურა და ესეთი გამამზნევებელი სიტყვებით მიმართა აქილეესს: „ძღვევა-მოსილო აქილეეს! ამიერიდან ნურას გეშინია! ცოტათი შეისვენე, მოიკრიფე ძაღლონე! ჰექტორის ბედო საბოლოოდ გადაწყვეტილია იგი, დარწმუნებული იყავი, ხელიდან ვერ წაგივა! ცოტათი მოითმინე, ტროადელ გმირს ჩავაგონებ თვითონვე თავს დაგვსხას! და აი ამ შეტაკებაში კიდევაც სიცოცხლეს მოუსპობ!“



ელლინთა გმირთა გმირი დაემორჩილა ათინა ქალ-ღმერთას სიტყვებს, იქვე მიწაზე დასდო ისარი და დასასვენებლად ჩამოჯდა.

ათინა ქალ-ღმერთა დაუყოვნებლივ მოეწია ჰექტორს და, მიიღო რა მისი ძმის დეიფობის სახე, ასეთი სიტყვებით მიმართა პრიამოსის შვილს: „ჩემო საბრალო, მაგრამ საყვარელო ძმაო ჰექტორ! როგორი თავდავიწყებით გდევნის ღვთის რისხვა აქილევსი! საყვარელო ძმაო ჰექტორ! სჯობია აქვე შეეჩერდეთ და შეერთებული ძალონით გაუმკლავდეთ ჩვენ მოსისხლე მტერს!“

„დეიფობ!“ სიყვარულის კილოთი უპასუხა ჰექტორმა: „მე მუდამ ყველა ძმებზე უფრო მიყვარდი, მაგრამ ახლა-კი უფრო განსაკუთრებით მიყვარხარ, ყველაზე უფრო ჩემთვის ძვირფასი ხარ, რადგანაც მხოლოდ ერთად-ერთმა შენ გაბედვ ქალაქიდან ბრძოლის ველზე გამოსვლა და გაქირვებაში მყოფ ძმისათვის ხელის გაწვედნა!“

„ღიბ, ჰექტორ, დედა და მამა, ყველა ჩემი ნაცნობნი, მეგობრები და ნათესავები მირჩევდნენ ბრძოლის ველზე არ გამოვსულიყავი! მაგრამ აბა გული როგორ მომითმენდა, როცა შენ, ჩემ გულითად მეგობარს და ძმას ესეთ გაქირვებულ მდგომარეობაში გხედავდი! ჩემო ძვირფასო და საყვარელო ძმაო ჰექტორ! აუცილებლად საჭიროა დაუყოვნებლივ თავს დავესხათ ჩვენ მოსისხლე მტერს და ან სიკვდილი და ან მტერზე გამარჯვება მოვიპოვოთ!“

ჰექტორი შეტად გაამხნევა ამ სიტყვებმა, და ტროადელების მხედრობის მთავარ-სარდალი დაუყოვნებლივ მიუახლოვდა ძლევა-მოსილ აქილევსს და, სანამ მის წინააღმდეგ გაილაშქრებდა, ასეთი სიტყვებით მიმართა: „ღიდებულო აქილევს! ამიერიდან ბრძოლის ველიდან არ გაგეჭყევი! აი მესამედ შემოურბინე ილიონის ზღუდეს გარშემო! ახლა-კი გადავწყვიტე სამკედრო-სასიცოცხლოდ შეგებრძოლო; ან სიკვდი-

ლი და ინ გამარჯვება! მაგრამ, სანამ ერთი-მეორეს შევეხებოდეთ, შემდეგი პირობა შევეკრათ: თუ ყოველად შეძლებულმა ზევსმა გამარჯვება მე მარგუნა, შენ გვამს შეურაცხყოფას არ მივაცუნებ, სამხედრო იარაღს ჩამოვხსნი მხოლოდ და ისევ დაუბრუნებ ელლინთა მხედრობას! თუ გამარჯვება ღმერთმა შენ გარგუნოს, ჩემი გვამი მშობლებს დაუბრუნე ტროადაში!

ძლიერა-მოსილმა აქილეესმა გადაქრით უარპყო ჰექტორის წინადადება და დაუყოვნებლივ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მძლავრად სლყორცნა ისარი ჰექტორს. ტროადელების მხედრობის მთავარ-სარდალი სწრაფად დაეყრდნო მიწაზე და ამიტომ აქილეესის მიერ მძლავრად ნატყორცნა ისირმა ზურგზე ზუზუნით გადაურბინა ჰექტორს და იქვე მიწაში ღრმად ჩაიფლა.

ათინა ქალღმერთამ ჰექტორის შეუმჩნეველად მიწიდან ამოიღო ისარი და პელეისის ეკის-შვილს მიაწოდა. ჰექტორის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

სჩანს ყოველად-შემძლებელი ზევსი არც ისე სწყალობს ელლინთა მხედრობის გამართა-გმირს, როგორც ამას არაერთხელ თვით აქილეესი კვებნით ამბობდა! სჩანს მალალი ზევსი სხვაფრივ სწყვეტს სამართალს; წინააღმდეგ შემთხვევაში აქილეესის მიერ მძლავრად ნატყორცნი ისარი რათ უნდა ასცილებოდა ელლინთა გამართა-გმირის ნიშანში ამოღებულ მსხვირბლს?

ამ აზრით გატაცებულმა ჰექტორმა მოიმარჯვა ისარი და მძლავრად სტყორცნა ელლინთა მხედრობის სასიქადულო გამართა გმირს. ჰექტორის მიერ მძლავრად ნატყორცნი ისარი შუა ვულში დაეჯახა აქილეესის ფარს, მაგრამ სპილენძის ფარს ვერა დააკლო რა, და უკანავე დაბრუნებული ზუზუნით მიწაში ღრმად ჩაიფლო. ჰექტორი ერთბაშად გაფითრდა, შიშის ზარმა აიტანა, რადგანაც სხვა ისარი არა ჰქონდა და

მტერი კი მოურიდებლად მისკენ მიიწედა. თავზარდაცემული ჰექტორი უყვიროდა თავის საყვარელ ძმას დეიფობს და დახმარებას შესთხოვდა, მაგრამ დეიფობი კი, თითქო მიწამ ჩაყლაპაო, სადღაც შეუშინველად გაქრა.

ჰექტორი ახლა კი ცხადლივ დარწმუნდა, რომ ათინა ქალ-ღმერთამ შეაქდინა იგი. „დადგა ჩემი აღსასრულის დღე!“ შეჰყვირა ჰექტორმა: „მაგრამ განა გმირს შეშვენის სიკვდილს შეუშინდეს! მართალია ჩემმა ბასრმა ისარმა მილაღატა, მაგრამ განა ხმალი კი ქარქაშში არ მივია!* სთქვა ეს ტროადელების მხედრობის მთავარ სარდალმა და ხმალ-ამოღებულნი, გამძვინვარებულ ლომივით აქილევსისაკენ თავდავიწყებით გაემართა.

ელლინთა მხედრობის გმირთა გმირიც არა სცხრებოდა: პელეასის სასიკაღლლო ვაჟიშვილი ჰექტორის სხეულზე უთვალთვალეზდა ისეთ ადგილს, რომელიც სამხედრო იარაღით არ იყო დაფარული. ჰექტორს მთელი ტანი აქილევსის სამხედრო იარაღით ჰქონდა შეჭედილი, სწორეთ იმ იარაღით, რომელიც ტროადელების გმირმა პატროკლოსის ჯერ კიდევ გაუცივებელ გვამს შემოხსნა. იარაღით დაუფარავი ერთად ერთი ადგილი ჰექტორს ყანყრატოზე შერჩენოდა. აქილევსმა სწორედ ამ ადგილს მოჰკრა თვალი და დაუმიზნა თავისი ბასრი ისარი.

აქილევსის მიერ მძლავრად ნატყორცნი ისარი ჰექტორს ყანყრატოში მოხვდა და ზუზუნით გავიდა კისრის მეორე მხარეზე. ტროადელების მხედრობის მთავარ-სარდალმა ერთი შეჰყვირა და მძლავრად დაეშვა მიწაზე.

„მაშ რა გეგონა შენ, ღმერთებისაგან შეჩვენებულო, როცა ჩემ ვულითად მეგობარს პატროკლოსს სიკოცხლეს უსაობდი!“ მხიარულად შეჰყვირა გამარჯვებულმა აქილევსმა: „განა, როცა ჩემი მეგობრის ჯერ კიდევ გაუცივებელ გვამს ჩემ სამხედრო იარაღს ხსნიდი, ნუ თუ დაგავიწყდა, რომ



პლენის ვაფიშვილი, ძლევა მოსილი აქილევსი, ჯგერულდ
 ცოცხალია მაშ როგორ გეგონა, ელლინთა მხედრობის გვირ-
 თა გვირი აქილევსი თავისი გულითადი მეგობრის სიკვდილს
 ვისმე აპატივებდა! შე თავებდო! შენ გვამს გაუმაძლარი ძალ-
 ლების ლუკმად გავხდი ხოლო ჩემ მეგობარს კი დიდებულად,
 ბრწყინვალედ დაეასაფლავებ!“

ცოცხალ-მკვდარმა ჰექტორმა, რომელსაც პირიდან
 სისხლის ნაკადული გადმოსჩქეფდა, ოდნავ გასაგები
 ხმით ესე მიმართა გამარჯვებით აღტაცებულ ელლინ-
 თა გვირთა-გვირს; „დიდებულო აქილევს! შენ ფებთა
 მწოლი გაფიცებ ყველაფერს, რაც-კი შენთვის ძვირფასია, ნუ
 ვახდი ჩემ გვამს მირმიდონელთა ძალების ლუკმად! მიიღე
 რამდენიც გინდა სასყიდელი, ოქრო და ვერცხლი, ოღონდ-
 კი ჩემი გვამი ჩემ მშობლებს დაუბრუნე! მამაჩემი პრიამოსი
 და დედაჩემი ჰეკაბა ჩემი გვამის გამოსასყიდლად არავითარ
 სასყიდელს არ დაზოგვენ! გებვეწები, გეპუდარები, დაუბრუნე
 ჩემი გვამი ჩემ საბრალო მშობლებს, რათა ტროადელებმა
 ჩვეულებისამებრ სამშობლო მიწაში დამასაფლაოონ!“

„ჩემი გულითადი მეგობრის მკვლელს სამშობლოში და-
 საფლავებას არ ვაღიარებ!“ მხიარული ხმით ჩასძახოდა სულთ-
 მობრძავ ჰექტორს ძლევა-მოსილი აქილევსი.

ტროადელების მხედრობის მთავარ-სარდალს თან-და-თან
 სულთქმა უმძიმდებოდა. საბრალომ ერთი ღრმად ამოისუნთ-
 ქა, თავის სამშობლო მხარეს ერთი კიდევ გადახედა და
 სამუდამოდ დახუჭა თავისი ერთი წამის წინად ცეცხლის
 მფრქვევი თვალები.

ა. მიქაბერიძე.

(შემდეგი იქნება)





უარადები.



(წარმოდგენილი პ. ნიორძის-მიერ.)

ოჰში მეტეს რაც უნდოდა,
ბოლო ასო მოაკალეთ,
დართეთ კაცთ მოკლე სახელი,
ერთად გეტყვით, დამაკალეთ:—
ჯოგად უყვარს სიარული,
სწყინს, თუ დააშორ-დააკალეთ.

პირველია, რაც გვკირდება—
სწორე იყოს ნაწერიო;
ამას ბოლო მოაწყვიტე;
ვადააგდე ნაჭერიო.
მეორეა საღებავი,
მას ხმარობენ ქალებიო,
მესამე-კი ამინდია,
დაინახავს თვალებიო;
სულ-კი—თანამდებობაა—
უნდა თვალოს ფარებიო.



რ ე ბ უ ს ი.



მე-4 №-ში მოთავსებულ გასართობის აღსნა:
რებუხი—კაცს სიციცხლე მაშინ მოსძულდება, როცა სულთ დაკნინდება.

შარადა—1 ფარაონი. 2 ფარისეველი.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი



მიიღება სელის მოწერა 1913 წლისათვის.
 ორსაბათის საკოლიტიმო და სალიტერატურო გაზეთი
 წელიწ. მესამე **თ ე მ ი** წელიწ. მესამე

რედაქცია და კანტორა: Редакция газ. „Теми“, д. Ди-
 самидзе, Ольгинская 4.

გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც 1911 და 1912 წელს.
 ის სელის მომწერლები, რომელნიც ამ ხანად გადახდათ გაზეთის
 წლიურ ფასს მიიღებენ

ორ პრემიას

1 მარტში—ს. აბაშელის ტ 2 ნოემბერში—კ მაყაუვილის
 თხზულებებს.

ფასი გაზეთისა წლიურად—2 მან. 50 კ. ნახევარი წლით—
 1 მან. 25 კ. ერთი თვით 25 კ.

კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან 2 საათ.

რედაქტორ-გამომცემელი გრ. დიასამიძე.

მიიღება სელის მოწერა

ყოველ კვირულ საზოგადო-ეკონომიურ

და სალიტერატურო ჟურნალ

„კლდე“-ზედ.

1913 წლის იანვრიდან ჟურნალი უფრო ფართო პრო-
 გრამით გამოიცემა, ჩაერთობა ილუსტრაციები, კარიკატურე-
 ბი და სხ. მოწვეულ არიან ახალი თანამშრომელნი, როგორც
 ადგილობრივი, ისე რუსეთისა და საზღვარ გარედან.

ფ ა ს ი:

1 წ.	6 თ.	3 თ.	1 თ.	ცალ. №
5 მ.	2. 75	1. 50	— 50	— 10
4 მ.	2. 50	1 მ.	— 40	— 10

სოფლის მასწავლებელთ, სამკითხვე-
 ლოებს, სტუდენტებს და კოოპერა-
 ტიულ დაწესებულებათ დაეთმობათ

საზღვარ გარედ ყველა ფასებს ემატებათ თვეში 5 შაური გა-
 დასაგზავნი.

განცხადების ფასი: უდაზედ, როგორც აღნიშნულია; ტექ-

1913 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საქმასწავლო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

← წელიწადი მიცხრა →

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არ-
ჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით; მონაწილე-
ობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურად ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიკა „ნაკადულისა“ **12** წიგნი „ნაკადულისა“
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

1913 წელს წლიური ხელის მომწერნი ორივე გამოცემისა სა-
ჩუქრად მიიღებენ ამერიკელ მწერალ ქალის მარეტ ბიჩერ
სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დრო დან, „ბი-
ძია თომას ქოხი“-ს სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 80-ზე
მეტისურათ და ჩართული იქნება ავტორის სურათი და
ბიოგრაფია.

თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკი-
სრა ილია ნაკაშიძემ.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მ. ნა-
ხევარ წლით—3 მან., ცალკე-ცალკე მცირე წლოვანთათვის
24 წიგნი—3 მან., მოზრდილთათვის **12** წიგნი—3 მან.
ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა შეიძლება

ტფილისში—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბადაშვილის სახ.,
კოლოზინ. ბრ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский
пр., № 8, და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მდარაბაში, სასა-
ხლის ქუჩა. ქუთაისში—ისიჯორე კვიციანიძისთან, მ. ვახუშტაძე-
ლთან და თ. შთაქრიშვილთან. სამტრედიისში—ივანე კლადგოვ-
თან და ვლ. ნაცვად ქსთან. ფოთში—თეოფილე კანდელაკთან.
ბათუმში—ქნ. სოფიო ნაკაშიძისთან, ტრაფიმი ხახარაძისთან და
ანასტასია დომინაძისთან. ოზურგეთში და ლანჩხუთში—ლეო იმ-
ნაძისთან. თელავში—ვახო შატაშვილთან. ახალციხეში—კონ-
სტანტინე გვარამაძისთან. ბაქოში—ვასილ ახვლედიანთან, ნინო
კლადგოვთან და ივანე ელიაშვილთან. გორში—ნინო დომურთან
და ქეთევან ჯავახიშვილთან. სოხუმში—ქნ. მარამ ანჩაბაძისთან.
ქიათურაში—ივანე კომედაურთან. განჯაში—ბ. ამბოქაძისთან.
ერევანში—კ. ოდიშარაძისთან. სიღნაღში—ნ. ახმეტკლადგოვთან.
ყარსში—ივ. სავთშვილთან. ალექსანდროპოლში—ს. შატბე-
რაშვილთან. როსტოვში—მ. კლიმაშვილთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.
გამომცემელი თავ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.